ხუთშაბათი 4 სექტემბერი 1924 წ. № 201 (1056) კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ‹და› თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— ჩინეთში ამბოხებულ ფაშისტებს მხარს უჭერენ ინგლისელები.

— პოლონეთის განაპირა რაიონებში საალყო წესებია გამოცხადებული.

— ტოკიოში იაპონელმა სოციალისტმა მოჰკლა გენერალი გუხუტურა.

— გაიხსნა ერთა ლიგის სესია.

— ესპანეთის ჯარების მდგომარეობა მაროკოში კრიტიკულია.

— გერმანიის ყოფ. [illegible] ბა ლონდონში.

№ 201 (1056) ხუთშაბათი 4 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 201 (1056)

მენშევიკურ-თავადაზნაურული ბანდიტიზმი დამარცხებულია, ბანდიტთა ხროვა განადგურებული.
მშრომელთა დიქტატურის მძიმე ხელი გასრესს დანარჩენებსაც, ვინც ხმალი იშიშვლა მის შესამუსრავათ.
ფიზიკური გაჟლეტა და დასამარება-აი პასუხი მშრომელთა დიქტატურის, აი რას ვპირდებით ჩვენ ხალხის მტრებსა და მოღალატეებს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს კომუნიზმს!

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაგან

მთავრობის ცნობა.

მთავრობა ამით აუწყებს რესპუბლიკის მცხოვრებთ მენშევიკებისა და თავადების საზიზღარი ავანტიურის სრული ლიკვიდაციის შესახებ. შეთქმულთა ბანდები ყოველგან გაფანტულია და ნაწილობრივ დაკავებული. ზოგ ადგილებში ბანდებმა მთელი შემადგენლობით დაჰყარეს იარაღი და დაგვნებდნენ, ზოგან კი მიატოვეს რა „ტყვე" მოქალაქეები, ქალები და ბავშვები, რომლებიც წაიყვანეს პირველი თავდასხმის დროს, გარბიან ტყეებში და სხვადასხვა საშუალებებით სურთ გაიგონ ხელისუფლების ორგანოებისაგან დანებების პირობები. ხელისუფლების ორგანოები, თავისთავად ცხადია, არავითარ მოლაპარაკებას დანებების პირობების შესახებ არ მართავენ და გადაჭრით მოითხოვენ დანებებას ყოველგვარი პირობების გარეშე.

მაგრამ გაუწია რა ანგარიში მასიურ თხოვნებს პატიების შესახებ, ხელისუფლებამ 5 სექტემბერი დანიშნა ნებაყოფლობითი დანებების უკანასკნელ დღეთ და ამ ვადის გასვლამდი გამოცხადებულთ აღუთქვა ნაკლებ მკაცრი სასჯელი.

თავად-აზნაურების და მენშევიკების შეთქმულების ასე დაბოლავებისა და ყოველგან წესრიგის აღდგენის გამო მთავრობა სწყვეტს მუშურ-გლეხური წყობილების წინააღმდეგ მიმართული სამარცხვინო ავანტიურის შესახებ მთავრობის ცნობების გამოქვეყნებას.

კონტრ-რევოლიუციონური ბანდიტიზმის ლიკვიდაცია

თავად-აზნაურულ-მენშევიკური ბანდიტიზმის შეიარაღებული გამოსვლები დამარცხდა. იმედები შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუციის, ხალხის [illegible] და დამპყრობის მოციქულებისა გაცრუვდა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ხალხის ერთსულოვნებამ და წესრიგის დამცველი ორგანოების წინააღმდეგობამ საკადრისი [illegible] საბჭოთა სახელმწიფოს მტრებსა და მოღალატეებს—ეს [illegible] ფარულად გათხრილი, მაგრამ ჯერ კიდევ არა მთლად ამოვსილი სამარე საქართველოს კონტრ-რევოლიუციისა. ამნაირად რამოდენიმე [illegible] კუთხეებში შეწყვეტილი ნორმალური ცხოვრების მიმდინარეობა კვლავ დაუბრუნდა თავის კალაპოტს.

ასწავლის თუ არა რამეს მიღებული „გაკვეთილი" ყველა ამ თავადებს, აზნაურებს, ყოფილ ოფიცრებს, გაბოროტებულ ინტელიგენტებს, მღვდლებს, კულაკებს და ყველა ნაძირალებს მენშევიკების მეთაურობით—ეს საკითხი აღარ წარმოადგენს უკვე დიდ ინტერესს ჩვენთვის. რატომ? იმიტომ, რომ კუზიანს გაასწორებს მხოლოთ სამარე და ამ სამარეზე შედგმული უძრავი ლოდი.

ჩვენ არასოდეს არ გვასულდგმულებდა შურისძიების გრძნობა. მაგრამ უნდა გაიგოს და შეიგნოს დაბოლოს ყველამ, რომ ამდენი სისხლით და მთელ თაობათა ტანჯვა-წამებით მოპოვებულ და განმტკიცებულ საქმეს ჩვენ ვდარაჯობთ, ხალხის მომავალს ვიცავთ და არავის ნებას არ მივსცემთ რაიმე სისუსტით ვნება მიაყენოს რევოლიუციის, საბჭოთა ქვეყნების აწმყოსა და მომავალს.

მტერი გაშიშვლდა. ყველა ძალები ბნელი წარსულის, ყველა ისინი, ვინც დაჰკარგა პრივილეგიები და ფუფუნებაში ცხოვრება, შეერთდნენ ხალხისა და რევოლიუციის წინააღმდეგ, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის შესამუსრავათ. ამ ბრბოს მტრებისას მეთაურობს მენშევიკური [illegible], რომელიც გამოდის დღეს უფრო გაბედულათ და აშკარათ ყველა რეაქციონური, ყველა ბანდიტური ძალების სულის ჩამდგმელათ და მეთაურათ. მან დაჰკარგა კარგი ხანია ნდობა მშრომელი ხალხის, მას ჩამოსცილდა ყველა საღი ელემენტები, რომლებიც კიდევ შერჩენოდა მას დიდ რევოლიუციაში დამარცხების შემდეგ. მისი მიმდევარი დარჩა მხოლოდ ის კლასები, წოდებანი და ჯგუფები, რომელნიც ეკონომიურათა და პოლიტიკურად დაამარცხა რევოლიუციამ.

ამნაირად მოევლინა ეს პარტია ჩვენ ხალხს, როგორც [illegible] შავი ძალების, შავი საქმის, შავბნელი რეაქციისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების. ეს შეიგნო ხალხმა. დარწმუნდა ამაში თვით ჩამორჩენილი ნაწილები ამ უკანასკნელ დღეების გამოსვლებში საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ. ამიტომ დაინახა ამ გამოსვლებში [illegible] ძველის აღდგენის და ახალის დასამარების. სწორედ ამავე მიზეზის გამო მან გაუმაგრა რიგები და ზურგი თავის ხელისუფლების ორგანოებს და აუგო წესი მათ, ვინც უწმინდურების ტალღის აგორებას ლამობდა დიდი რევოლიუციის მონაპოვართა წასალეკათ.

ბანდიტური გამოსვლების მეთაურებმა მიიღეს საკადრისი ჯილდო. წესრიგი აღდგენილია, მაგრამ ეს არ არის საკმაო. ჩვენ წინ გვიძევს კიდევ დიდი მნიშვნელობის საქმე შესასრულებლათ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საბოლოოთ ჩვენი ხალხი ამ პარაზიტებისა და მტრებისაგან, უნდა უზრუნველვყოთ ბანდიტების გამოსვლებისა და სისხლისღვრისაგან, უნდა დავიცვათ ამ ხალხთან ერთად ნორმალური და მშვიდობიანი მუშაობის პირობები.

ამისთვის არის სხვა საშუალებაც, მაგრამ მომენტი მოითხოვს დღეს და ახლო მომავალში გადამჭრელ ზომებს და ეს ზომა იქნება ფიზიკური განადგურება, გაჟლეტა ყველა იმათი ვინც მტრობს და იარაღით ხელში ებრძვის რევოლიუციონურ ხელისუფლებას. სურს დაამხოს საბჭოთა წყობილება.

რევოლიუციამ განაიარაღა ეკონომიურათა და პოლიტიკურათ ყოფილი გაბატონებული კლასები, დამარცხება არგუნა მათ შემკავშირებელ და წინამძღოლ პარტიას. მაგრამ ისინი იარაღდებიან თოფებითა და ბომბებით ამ რევოლიუციის და მისი პარტიის წინააღმდეგ. ამ ფაქტს ვუწევთ ჩვენ ანგარიშს და გამოგვაქვს იქიდან შესაფერისი დასკვნა, რომელმაც უნდა მოუტანოს განადგურება შავი რეაქციის ძალებს.

ამას ვპირდებით ჩვენ ამ ძალებს და პირნათლად შევასრულებთ კიდევაც დაპირებას.

მახვილით ხელში

უკანასკნელ დღეებში საქართველოს მთელმა მშრომელმა ხალხმა ერთხელ კიდევ მოახდინა მუშურ-გლეხურ მთავრობასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან, თავისი სოლიდარობის ერთსულოვანი დემონსტრაცია.

მენშევიკების თავზე ხელაღებული ავანტიურა იყო ამის უშუალო მიზეზი.

მეოთხე წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს ჩვენში.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენებური კონტრ-რევოლიუციის მთავარი ძალა—მენშევიკური პარტია სავსებით დაიშალა. ამ პარტიას ზიზღით შეაფურთხა მისმა ყველა სასიცოცხლო ელემენტებმა, მუშებმა და გლეხებმა და ისინი ჩადგნენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დამცველების რიგებში.

განადგურდნენ სხვა ანტისაბჭოთა პარტიებიც.

საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ განმტკიცდა პოლიტიკურად, და ის, მთელ მშრომელ მასასთან ერთად, ჩაება უდიდეს სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობითი მუშაობაში.

ამ სფეროში ჩვენ გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები. მენშევიკების ბატონობის დროს ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა კაცი იმ შემოქმედებითი მუშაობას; რომლის სურათი დღეს გადაშლილია ჩვენს წინაშე.

ამავე დროს შეუდარებლად განმტკიცდა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაც. მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული შეიქნენ გვეცნეთ იურიდიულად. სულ ბოლო ხანებში საბჭ. კავშირმა ხელშეკრულება დასდო კაპიტალისტურ მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოსთან, ინგლისთან ავანტიურა.

ასეთ პირობებში მენშევიკების „საყოველთაო, სახალხო შეიარაღებული აჯანყების" ცდა, ცხადია, სხვა არა იქნებოდა, თუ არა აშკარა.

ეს იყო საქართველოს კონტრ-რევოლიუციის „მედის სიმღერა" თავისი საბოლოო, ფიზიკური სიკვდილის წინ.

გამოეცალათ ფეხიდან ყოველგვარი ნიადაგი შინ, დაკარგეს რა უკანასკნელი იმედი გარედან დახმარების, უძლური ბოროტებით გაჟღენთილ მენშევიკებმა უკანასკნელად იშიშვლეს დაჟანგებული. მშრომელთა მიერ არა ერთხელ დალეწილი ხმალი.

ვინ იყვნენ გაბანდიტებულ მენშევიკებთან საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ?—მათ გვერდს „უმშვენებდნენ" საზოგადოების ყველა ნაძირალები, რევოლიუციის მიერ განწირული ხალხი: ყოფილი თავადები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ [illegible]; მეფის ოფიცრობა, რომელმაც სამსახური დაკარგა; მღვდლები, რომლებსაც გამოფხიზლებულმა გლეხობამ მუქთახორული ცხოვრებას საშუალება მოუსპო; ვაჭრები, რომელთაც ჩვენმა კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ აღსასრულის დღე მოუახლოვა; ტყეში გავარდნილი მძარცველები და ყაჩაღები.

აი, მენშევიკების მთელი „არმია".

მენშევიკების ავანტიურას არ აჰყოლია არც ერთი ღარიბი გლეხი და მით უმეტეს არც ერთი მუშა.

ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებს „აჯანყებულთა" ვინაობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმ თავითვე დიდსულოვნობა გამოიჩინა მუშათა კლასის მტრების მიმართ უბრალო-უბრალოდ შურისძიება და სისხლის ღვრა სრულებით არ შეადგენს გამარჯვებულ მშრომელთა თვისებას. ჩვენ ყველას მივეცით საკმაო დრო და შესაძლებლობა შეგუებოდნენ ახალ პირობებს, პროლეტარიატის დიქტატურას, და ხელი მოეკიდათ პატიოსან, შრომითი ცხოვრებისათვის.

მაგრამ ამაოდ. ამის ხალისი არ აღმოაჩნდათ იმ ელემენტებს, რომელნიც წინედ შეჩვეული იყვნენ მშრომელ ხალხზე ბატონობას, მუქთახორობას, ფუფუნებას. მათ გადადგეს თავისთვის საბედისწერო ნაბიჯი, მოინდომეს ძველი დროის დაბრუნება, მშრომელ მასსაზე მემამულის და კაპიტალისტის უღლის დადგმა.

საბჭოთა ხელისუფლებამ შეუბრალებელი ხელით გასრისა ისინი, ვინც დაიწყეს სისხლიანი ავანტიურა მუშათა კლასის წინააღმდეგ, ვინც შეეცადა ამოეგდო მოსახლეობა მშვიდობიანი შრომის კალაპოტიდან. ვინც მახვილი აიღო ხელში პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, მახვილით იქმნა განგმირული.

და როგორც არა ერთხელ, ამ შემთხვევაშიც მუშურ-გლეხურ მთავრობასთან აღმოჩნდა რესპუბლიკის მთელი მშრომელი მასსა და ყველა პატიოსანი მოქალაქე.

ღარიბი გლეხობა თავის ინიციატივით აქტიურად გამოვიდა ავანტიურისტების წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ერთი ხელის მოქნევით ალკვეთა ისინი.

მუშებში მენშევიკ-ბანდიტების გამოსვლამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ყველა მათ გამოაცხადეს თავიანთი თავი ჩვენი პარტიის და მუშურ-გლეხურ მთავრობის განკარგულებაში, შეიარაღდნენ და, როგორც ერთი კაცი, დადგნენ რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

განვლილ დღეებმა ერთხელ კიდევ დაგვანახეს, თუ როგორ მჭიდროთაა დაკავშირებული მთელი მშრომელი მასსა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ჩვენს პარტიასთან.

ავანტიურა დამარცხდა. მისი მეთაურები და აქტიური მონაწილენი მოსპობილი არიან.

საბჭოთა ხელისუფლება არ დააყენებს საქართველოს ნიადაგის საბოლოო გასუფთავებას დარჩენილ, ტყეში შეხიზნულ თითო-ოროლა ბნელი ძალებისგან.

ეს გაწმენდა იქნება ისე საფუძვლიანი, რომ არავის არასოდეს ფიქრადაც არ მოუვიდეს მუშათა კლასის ბატონობის წინააღმდეგ კრინტის დაძვრა, არამც თუ რაიმე ავანტიურა.

ჩვენ არ დავიშურებთ სამარე გაუთხაროთ იმათ, ვინც ამის მოსურნეა. ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები, რევოლიუციის ინტერესები.

ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ და კიდევ შევასრულებთ.

თბილისში

საქართველოს ზოგიერთ ადგილებში. პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის აგენტებმა გაავრცელეს ხმები, რომ ვითომ ტფილისი აჯანყებულთა მიერ იყო დაკავებული.

რასაკვირველია, როგორც მენშევიკთა სხვა ჭორები, ეს ხმებიც მოკლებულია სიმართლის ნიშანწყალს. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში არა თუ გამოსვლებს, წესრიგის უბრალო დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

წესრიგს იცავდა ტფილისის შეიარაღებული პროლეტარიატი, რომელიც მზად იყო სათავეშივე ჩაეკლა ყოველივე ცდა რაიმე გამოსვლებისა ან წესრიგის დარღვევისა, ყველა ფაბრიკა-ქარხნები და დაწესებულებები ნორმალურად მუშაობდენ.

მუშა-მოსამსახურეთა და წითელარმიელთა კრებებს გამოჰქონდათ ერთხმად რეზოლიუციები, რომლითაც ზიზღს უცხადებდენ ავანტიურისტ-ბანდიტებს და მათ მეთაურებს, მოითხოვდენ მათ სასტიკ დასჯას. ტფილისის მუშათა კლასი თავიდანვე გრძნობდა, რომ გათავხედებული კონტრრევოლიუციის უგუნური მისწრაფება საქართველოს მშრომელთა ენერგიული წინააღმდეგობით სათავეში იქნებოდა ჩაკლული.

ტფილისში ბანდიტებმა ვერ გაბედეს ბნელი სოროებიდან თავის გამოყოფა და კონტრ-რევოლიუცია მხოლოდ უაზრო ხმების გავრცელებით ინუგეშებდა თავს. მაგრამ მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცნობები და ჩვენი პრესა აშკარავებდა ამ ხმების უსაფუძვლობას, მენშევიკური ავანტიურის სამარცხვინო დამარცხებას. მას ადგილი ქონდა.

მხოლოდ რამოდენიმე ღამით აკრძალული იყო უნებართვოდ ქალაქის ქუჩებში სიარული, 2 სექტემბრიდან კი ქალაქმა ამ მხრივაც სრულებით ჩვეულებრივი სახე მიიღო, გამეფდა სრული სიმშვიდე და სიწყნარე.

ამნაირად თბილისი ჩაბმული, მშვიდობიან შრომაში, რომელსაც არავითარი საფრთხე არ მოელის.

კონტრ-რევოლიუცია მოკვდა საქართველოს ყველა ადგილებში. თბილისში კი მისი იმედები თავიდანვე სუსტი იყო. აქ მან თავის ძალთა დემონსტრაციის ცდაც ვერ გაბედა.

ი. ბ.

მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია

ბათომში

29 აგვისტოს, თბილისის მუშების [illegible] დღეს, ბათომში მუშაობა სწყდა. დილიდანვე ვიღაც ბნელმა პირებმა დაიწყეს პროვოკაციული ხმების გავრცელება „დიდი აჯანყების" შესახებ, რომლებიც ვითომ და მთელ საქართველოს მოედო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათომელი [illegible] შეიკრიბენ ზღვის პირას და გაჰყურებდენ ჰორიზონტს, ხომ არ გამოჩნდება იქიდან უცხოეთის [illegible]. შუადღისათვის ქალაქის ქუჩებში გაკრული იყო ბრძანება № 1 რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მენშევიკების ბელადები ცდილობენ მოეწყოთ გამოსვლა და რომ ამ გამოსვლების ჩასაქრობათ მოეწყო საგანგებო ხუთეული. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. განწყობილება ერთბაშად გამოირკვა, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში არ მოსულა მატარებლები თბილისიდან: მუშები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული ამ ბანდების ლიკვიდაციაში.

30 აგვისტოს, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის გათავების შემდეგ, თავი მოიყარა 500-დი მუშამ, რომლებიც თავისი ინიციატივით, მწყობრი რიგებით გაემართენ პროფსაბჭოს შენობისაკენ და საგანგებო ხუთეულს დელეგაცია გაუგზავნეს. დელეგაციამ განაცხადა, რომ მუშები ვერ დარჩებიან განზე პარტიისაგან იმ დროს, როცა მოღალატე მენშევიკები მუშების ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ამზადებენ. მუშების სახელით დელეგაციამ მოითხოვა მუშების შეიარაღება, რომ დაუყოვნებლივ წავიდნენ ბანდების სალიკვიდაციოდ.

ხუთეულის წარმომადგენლებმა გაუცნეს მუშების კრებას მომხდარი ამბები და აღნიშნეს, რომ პარტია ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ მუშები ამისთანა შემთხვევებში თავის მოვალეობას შეასრულებენ.

მქუხარე, რისხვის გამომხატველი ყიჟინით:

— გვაძლევთ ავანტიურისტ-მენშევიკებს?

— ძირს ჩვენი ხელისუფლების მტრები!

— მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეიარაღებას და გაგზავნას ჩვენი ხელისუფლების დასაცავად!

— უპასუხეს მუშებმა ხუთეულის მოხსენებაზე. არასოდეს არ სმენია ბათომს „ინტერნაციონალის" ასეთი მედგარი გუგუნი.

მუშები იქვე შეიარაღეს. მათგან შეადგინეს მებრძოლი პროფესიონალი რაზმები, რომლებიც გაემართენ ნავთის რეზერვუარების, ქალაქის საზოგადოებრივ ადგილების და დაწესებულებების დასაცავად.

ნაშუადღევის სამ საათზე ყველა საწარმოო კავშირების დანარჩენი მუშების მოთხოვნით, გაიმართა მუშების საერთო კრება, რომელზედაც პარტიული კომიტეტის წარმომადგენლებმა გააკეთეს საინფორმაციო მოხსენება მომხდარი ამბების შესახებ.

ერთხმად მიღებული, ყოველგან თვით მუშების მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციებში, კავშირის წევრები სასტიკ პროტესტს გამოსთქვამდნენ გახრწნილი მენშევიზმის საზიზღარი ნაშთების ავანტიურის წინააღმდეგ და აცხადებდნენ, რომ ისინი იმყოფებიან ხუთეულის სრულ განკარგულებაში, ყოველ წუთში, როცა ეს საჭირო დარჩება.

ახლა ქალაქში სრული სიწყნარეა. ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში მუშაობა განახლდა. მუშათა რაზმები, კომკავშირები და განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები ფხიზლად იცავენ ქალაქს.

მუშების აღფრთოვანებამ და სიმტკიცემ დამშვიდება შეიტანა მთელს ქალაქში.

ბათომის მუშებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავისი ერთგულება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელსაც ისინი მზად არიან გვერდში ამოუდგენ უძნელეს მომენტში.

ამხ. ფილიპე მახარაძე ბათომში

(წერილი ბათომიდან)

ბათომის მუშებმა, გაიგეს თუ არა ამხ. ფ. მახარაძის ჩამოსვლა ბათომში, სთხოვეს მას გაეკეთებია მოხსენება მომხდარ ამბების შესახებ.

2 სექტემბერს ამხ. მახარაძემ გააკეთა მოხსენება მრავალრიცხოვან მუშების წინაშე.

ამხ. მახარაძემ სთქვა:

„თქვენ დღეს შეიკრიბენით განსაკუთრებულ პირობებში. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვინმე გაბედავდა თავს დასხმოდა მშრომელებს?

ჩვენ ჩავებით აღმშენებლობითი მუშაობაში.

ჩვენ ძალიან ლმობიერად ვეპყრობოდით მენშევიკებს იმ რწმენით, რომ დღეს, როდესაც მშრომელთა ხელისუფლება განმტკიცდა, როცა ჩვენთან ხელშეკრულებას სდებენ მტრულად განწყობილი ქვეყნები, არ მოინახებოდენ უგონო ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას.

მენშევიკებთან დავა ძველი დავაა, რომელიც 20 წლის განმავლობაში გრძელდება. იმათ გამოამჟღავნეს თავისი თავი, როგორც მუშათა კლასის მოწინააღმდეგეებმა, როგორც ბურჟუაზიასთან შემთანხმებლებმა, რომლებიც თებერვლის რევოლიუციასაც კი ეწინააღმდეგებოდენ.

აი, ამხანაგებო, ვისთან გვქონდა ჩვენ საქმე! ჩვენ შემოქმედებითი მუშაობის დროს, როდესაც ბურჟუაზიულმა ქვეყნებმაც კი უარი სთქვეს ჩვენს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე, იმათ მიმართეს ნაცად საშუალებას—პროვოკაციას.

მე კი ვაცხადებ: საბჭოთა ხელისუფლებამ 3 წლის განმავლობაში ბევრი გააკეთა მუშებისა და გლეხებისათვის, მაგრამ ჩვენი მტრები ანგარიშს არ უწევდენ ამას, სცდილობდენ შეესუსტებიათ ჩვენი ხელისუფლება და ყოველი წვრილმანებით მოქმედებდენ შეუგნებელ მასებზე. ჩვენ დაუშვით ჩვენს წრეში ის ადამიანები, რომლებიც, გვეგონა, ყოველგვარ ბოროტ ზრახვების გარეშე იმუშავებდენ მშრომელთა სასარგებლოთ. ჩვენ არ ვუხდიდით მათ სამაგიეროს წარსულისათვის. ჩვენს ნდობაში მოტყუებული დავრჩით. ჩვენს დაწესებულებებში მოკალათების შემდეგ ისინი გამცემლები აღმოჩნდნენ უკანასკნელი მათი ავანტიურა მძიმე გავლენას მოახდენს მშრომლებზე.

ჩვენ არ დაუშვებთ, რათა პროლეტარიატმა უდიდეს ტერიტორიაზე ხელში ჩაგდებული ძალა-უფლება დაუთმოს ვისმეს.

ყოფილმა თავადებმა და გენერლებმა, მენშევიკებთან გაერთიანების დროს იცოდენ, რომ მათ რამდენიმე საათითაც არ შეუძლიათ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ცხადია აქ ადგილი ჰქონდა ავანტიურას, მათ მოატყუეს ხალხი როდესაც უთხრეს, რომ ძალა-უფლება ყველგან მათ ხელში გადავიდაო. თქვენ, მუშებო, უნდა იცოდეთ, რომ კაპიტალისტების და მემამულეების ძალა-უფლების გარდა იმათ თქვენთვის არაფრის მოცემა არ შეუძლიათ.

ეხლა ყველა პატიოსანმა მუშებმა და გლეხებმა უფრო მჭიდროთ უნდა შეკრან თავიანთი რიგები.

მაშინ უფრო უზრუნველვყოფთ ჩვენს საერთო მუშაობას, შევასრულებთ მთავარ მორიგ ამოცანას განთავისუფლდებით სილატაკისაგან და გაერთიანებული ძალებით შეუდგებით კომუნისტური წესწყობილების დამყარებას.

ამხ. მახარაძის სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ მთელი რიგი უპარტიო მუშებისა, მრავალ საწარმოვო კავშირების წარმომადგენლები (რკინისგზელები, აღმშენებელნი, ნავთსადგურის მუშები, დურგლები, გემო-კვების კავშირის მუშები, კომუნალურ მეურნეობის მუშები).

ყველა მუშები აცხადებდნენ მრისხანე პროტესტს მენშევიკების საზიზღარ ავანტიურის წინააღმდეგ.

— მენშევიკებს უნდოდათ ჩვენი მოტყუება, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა,—ამბობს მტვირთავი გეგელაშვილი,—მაგრამ ეს იმათ ვერ მოახერხეს. ლენინიზმს ისინი ვერასოდეს ვერ მოსპობენ. ჩვენ, უპარტიო მუშები აღშფოთებული ვართ და მოვითხოვთ მუშათა საქმის ვერაგ გა[illegible]ლების სასტიკად დასჯას. [illegible]ტანის საგანგებო კომისი[illegible] სწორად მოიქცა, რო[illegible] თაურები გაგზავნა, სადაც ჯერ არს. ჩვენ ყოველთვის ვივლით ჩვენს წინამძღოლ კომპარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი. (ხელს ართმევს ფ. მახარაძეს).

კრების თავმჯდომარე სწყვეტს შემდეგ ორატორების გამოსვლებს და აღნიშნავს, რომ ბევრი უპარტიო მუშები, სხვა კავშირების წარმომადგენლები ითხოვენ სიტყვას ფილიპე მახარაძის მისასალმებლად და მენშევიკების ავანტიურის წინააღმდეგ პროტესტის გასაცხადებლად.

ყველა მუშების თხოვნით, ის მიმართავს ამხ. ფილიპეს და ამბობს:

„აჭარისტანის უპარტიო მუშები გავალებენ თქვენ გადასცეთ თბილისში ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს, ცაკს, პარტიას და ყველა საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებებს, რომ ჩვენ მოვითხოვთ ბანდიტების სასტიკად დასჯას (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ არავის არასოდეს არ დავანებებთ ოქტომბრის მონაპოვარს. ჩვენ ყოველთვის ვივლით კომპარტიასთან ერთად.

უკანასკნელი სიტყვები იფარება მქუხარე ტაშით.

კრება ერთხმად, საერთო აღფრთოვანებით იღებს რეზოლიუციას, რომელშიაც აჭარისტანის უპარტიო მუშები, აღნიშნავენ რა მენშევიკურ ავანტიურის ბანდიტურ ხასიათს, რომელსაც შედეგად მოჰყვა გლეხური მეურნეობის ნგრევა და უდანაშაულო სისხლის ღვრა, მოითხოვენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან ავანტიურის მეთაურების და ყველა აქტიურ მონაწილეების სასტიკად დასჯას. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა მხედველობაში იქნას მიღებული მომავალში ის გარემოება, რომ მენშევიკები არიან მშრომელთა მტრები. ამიტომ მათი ადგილი საბჭოთა დაწესებულებებში კი არა, სულ სხვაგან არის.

ინტერნაციონალის სიმღერით კრება იხურება, მუშები ოვაციებს უმართავენ ფილიპე მახარაძეს და ხელით გამოჰყავთ ის ავტომობილამდე.

როგორ ჩატარდა „აჯანყება" საქართველოში და აჭარისტანის საზღვარზე

აჭარისტანის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კილაძემ დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა ჩვენს თანამშრომლებს 28—30 აგვისტოს მომხდარ ამბების შესახებ.

უკანასკნელ ხანებში მენშევიკების პარტიული კომიტეტი ამზადებდა აჯანყებას დასავლეთ საქართველოში და უსირცხვილოთ ატყუებდა ამ [illegible]ნით ადგილობრივ გლეხობას. როგორც ეხლა გამოირკვა, მენშევიკების მეთაურები პროვოკაციას ეწეოდენ გლეხობის შორის და არწმუნებდენ მათ, რომ აქ იმდენად ძლიერია მათი ორგანიზაცია, რომ თუნდაც ერთი საათით აჯანყებულ გლეხობის დასახმარებლად გამოგზავნილი იქნება საერთაშორისო ბურჟუაზიულ ორგანიზაციების დახმარება ფულით და შეიარაღებული ძალებით. ზოგიერთ ადგილებში პროვოკატორები იმდენად თავხედები აღმოჩნდენ, რომ აღუთქვეს დახმარება წითელი არმიის მხრივ.

მენშევიკების და მათ მიერ მოტყუებულ ელემენტების შეცდომა იყო ის, რომ მათ მხედველობაში არ მიიღეს საგანგებო კომისიის ორგანოების სიფხიზლე, რომლებიც მუდამ თვალყურს ადევნებდენ მათ მოქმედებას. საგანგებო კომისია თავს დაესხა შემთქმელებს სულ უკანასკნელ მომენტში გამოსვლების წინ, რის გამოც გულმოდგინეთ მომზადებული მოძრაობა ერთბაშად იქნა ჩაქრობილი.

პარიტეტულ კომიტეტის მიერ დანიშნულ ვადის ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიამ შესძლო მენშევიკური პარტიის ბათომის არალეგალური კომიტეტის დაპატიმრება მთელი შემადგენლობით. დაპატიმრებული იქნა აგრეთვე ბათომის სამხედრო ორგანიზაციის შტაბი მისა საბაშვილის მეთაურობით, რომელიც იყო მენშევიკების ცეკას წევრი, ბათომის კომიტეტის წარმომადგენელი, სრულიად საქართველოს პარიტეტულ კომიტეტის წევრი და უკანასკნელის რწმუნებული აჭარისტანში მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. სხვათა შორის საბაშვილს საგანგებო კომისია ეძებდა 3 წლის განმავლობაში. გარდა ამისა დაპატიმრებული იქნა ცნობილი მენშევიკური მუშაკი გურიაში, ბათომის კომიტეტის წევრი აჭარისტანის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე ვასო ჩიტაიშვილი. ცეკამ დააკისრა მას მთელი აჯანყების მოწყობა აჭარისტანში. კიდევ დაპატიმრებული იქნა სახალხო გვარდიის ყოფილი კომანდირი აკაკი რამიშვილი, რომელიც იყო ბათომის სამხედრო შტაბის წევრი. მასთან ერთად დაპატიმრებული იქნა საზღვარ გარეთიდან ჟულელთან ერთად ჩამოსული სპეციალურ ორგანიზაციის მოსაწყ[illegible] ბიქტორ ცენტერაძე,—ცნობ[illegible]შევიკური მუშაკი, [illegible] ნებელ კრების [illegible] ცეკას [illegible] ტიშ[illegible]

ყველა ამ დაპატიმრებამ, რომელიც მოხდა 28 აგვისტომდე საბოლოოდ დაუკარგა მოძრაობის წარმოების იმედი თავისუფლად დარჩენილ მენშევიკებს და ბათომის პარიტეტულ კომიტეტის წევრებს.

28 აგვისტოს საგანგებო კომისიამ მიიღო ცნობა ბათომში თავისუფლად დარჩენილ სოციალისტ-ფედერალისტების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, რომლის ხელშიაც იყო თავმოყრილი ადგილობრივ აჯანყების გეგმა. ეს ორგანიზაცია თავისი შტაბითურთ უნდა გამგზავრებულიყო ბათომიდან ქობულეთში, სადაც მას შეუერთდებოდენ ბანდები სადგურ ნატანებიდან, რისთვისაც მათთვის საჭირო იყო წინასწარ ამ სადგურის დაკავება. ამ რაზმს გაერთიანებული ძალებით უნდა დაეწყო სამხედრო მოქმედება და წასულიყო ბათომის მიმართულებით.

ამ ცნობების მიღების შემდეგ, საგანგებო კომისიამ გაგზავნა ქობულეთში ბათომელ კომუნისტების რაზმი და წითელარმიელები, სულ 120 კაცი. ამხ. კილაძის ხელმძღვანელობით რაზმი უბრძოლველად თავს დაესხა სოციალისტ-ფედერალისტების შტაბს და დააპატიმრა. დაპატიმრებულებს შორის არიან—შტაბის თავმჯდომარე, პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული მასწავლებელი გიგო ჩიქოვანი, ქობულეთის „სამხედრო უბნის სარდალი", ყოფილი გენერალ-მაიორი ფურცელაძე და შტაბის წევრი ყოფილი ლეიტენანტი ვლადიმერ ახვლედიანი.

29 აგვისტოს, ღამის 4 საათზე რაზმმა მიიღო ბათომიდან ცნობა იმ ბანდების შესახებ, რომლებიც მიემართებოდენ სადგურ ნატანების მიმართულებით მახლობელ სოფლებიდან.

რაზმმა დასტოვა დაპატიმრებული შტაბი ქობულეთის ძალების მეთვალყურეობის ქვეშ, სასწრაფოდ გაემგზავრა მატარებლით და მივიდა ნატანებში იმ დროს, როდესაც ბანდიტები უკვე მიუახლოვდენ სადგურს 50 ნაბიჯის მანძილზე. მატარებლიდან ჩამოსულმა რაზმმა სროლა აუტეხა ბანდებს, რომელთა რაოდენობა უდრიდა 200 კაცს. სროლას შედეგად მოჰყვა ის, რომ 40 კაცმა დაჰყარა იარაღი და ჩაგვბარდა, ბანდის 12 მეთაური, რომლებმაც წინააღმდეგობა გასწია, განიარაღებული იქნა.

ორთავე მხარემ დაჰკარგა შეტაკებაში თითო მსუბუქად დაჭრილი. დაპატიმრებულებს შორის არის მკვლელი ერთ-ერთი სოფლელი კომუნისტის, რომელიც მოკლულ იქნა სადგ. ნატანების მახლობლად.

აქედან რაზმი გაიყო შუაზე და წავიდა ორი მიმართულებით—ერთი სადგურ სუფსისაკენ, მეორე ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის მიმართულებ[illegible]

მეორე რაზმი 29 აგვისტოს ღამით მივიდა ოზურგეთთან, სადაც მას შეუერთდა ბათომიდან გამოსული რაზმი 150 კაცის რაოდენობით, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ჭავთარაძის ხელმძღვანელობით. ოზურგეთი აღმოჩნდა დაუკავებელი ბანდიტების მიერ, ქალაქს იცავდენ კომუნარები, მაგრამ ბანდა იმყოფებოდა მახლობლად. რაზმმა შემოუარა მას ზურგიდან და 30 აგვისტოს შესაძლებელი მოხდა მისი ლიკვიდაცია ჩვენს დაუზარალებლად. იმწამსვე აღდგენილ იქნა რკინის გზის ლიანდაგი, ალაგ-ალაგ დანგრეული ბანდიტების მიერ.

ქობულეთში დაპატიმრებული სოციალ-ფედერალისტების შტაბი ჯერ კიდევ 29 აგვისტოს 60 დაპატიმრებულთან ერთად გაიგზავნა ბათომში. ამ ოპერაციების სრულმა გამარჯვებამ საბოლოოდ ჩაშალა გამოსვლის გეგმა და ბათომში ამ „აჯანყებას" არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია.

გაწმენდილია ბანდებისაგან სენაკის მაზრა.

ამხ. კილაძე განსაკუთრებით აღნიშნავს იმ კომუნარების თითეულ წითელარმიელების და სოფლის ღარიბ გლეხობის გმირობას, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ ოპერაციებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დაპატიმრებულთა დაკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ავანტიურა ჩაიდინეს მათ მენშევიკების ცეკას დაჟინებით, რომლებიც მოითხოვდენ აქაურ მენშევიკებისაგან გაემართლებიათ იმედები უცხოეთის, რომელიც უხვად აწვდიდა მათ ოქროს.

ავანტიურის მეთაურებმა, როგორც ყოფ. გენერალმა ფურცელაძემ განაცხადა ჩვენებაში, დაარწმუნეს ის, რომ საკმარისია მან მხოლოდ დაიკავოს ქობულეთი, რომ მაშინვე მის დასახმარებლად, ბათომის დასაკავებლად გამოგზავნილი იქნებიან ინგლისელი რაზმები. ყოველგან აჯანყების მეთაურები მოქმედებდენ ნოე ჟორდანიას სახელით, რომელმაც თითქოს დაიკავა თბილისი. მათი სიტყვებით დაკავებული იყო ბათომიც—დარჩენილი იყო მხოლოდ მათი რაიონები. ერთ ადგილას, როდესაც პროვოკაციას აყოლილი კულაკები დარწმუნდენ სიცრუეში, მათ იქვე თვითგასამართლებით კინაღამ მოუღეს ბოლო ერთ-ერთ ასეთ პროვოკატორს.

ეგ.

როგორ „მიეგება" ბათომის ჩეკა ბანდიტებს

გაერთიანებულ პარიტეტული კომიტეტის ავანტიურა აჭარისტანში დამთავრდა შეთქმულების ყველა მეთაურთა დაპატიმრებით. აჭარისტანის საგანგებო კომისიის კოლეგიის მიერ გამორკვეულია სისხლის სამართლის და ბანდიტური ხასიათი გამოსვლის, რასაც შედეგად მოჰყვა ალაგ-ალაგ რკინის გზის ლიანდაგის და სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის დანგრევა. ბანდიტებმა მოჰკლეს რამდენიმე პარტიული და უპარტიო საბჭოთა მუშაკები, რომლებიც წინააღუდგენ მათ.

საგანგებო კომისიის კოლეგიამ, მომავალში მსგავსი გამოსვლების შესაძლებლობის აღმოსაფხვრელად შეიარაღებულ გამოსვლებისათვის, ტელეგრაფზე და რკინის გზაზე თავდასხმისა და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა მოკვლისათვის—უმაღლესი სასჯელი მიუსაჯა შემდეგ პირებს:

1) ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე- ყოფილი გენერალი ბათომის გამაგრებულ რაიონის შტაბის ყოფილი უფროსი, სამხედრო ატაშე ბათომში. ხელმძღვანელობდა სოციალისტ-ფედერალისტების სამხედრო ორგანიზაციას, რომელთა დავალებით იკისრა მენშევიკების შეიარაღებულ ბანდიტურ გამოსვლების ხელმძღვანელობა აჭარისტანში.

2) საბაშვილი მიხეილ სამსონის ძე, ინტელიგენტი, აზნაური, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, მეთაურობდა სამხედრო ორგანიზაციას აჭარისტანში, ეწეოდა ჯაშუშობას, სცხოვრობდა არალეგალურად.

3) ახვლედიანი ვლადიმერ ივანეს ძე—აზნაური, ყოფილი მენშევიკური არმიის უფროსი ლეიტენანტი, ბათომის გამაგრებული რაიონის შტაბის ყოფილი ადიუტანტი სოციალისტ-ფედერალისტი 1912 წლიდან, აქტიურად მუშაობდა შეიარაღებულ გამოსვლის მოსაწყობად ქობულეთში.

4) ჩიქოვანი გიგო პლატონის ძე—აზნაური, სოციალისტ-ფედერალისტების ბათომის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარტიაში ითვლებოდა 1906 წლიდან, პარიტეტული კომიტეტის წევრი, აქტიურად მუშაობდა შეიარაღებულ აჯანყების მოსაწყობად აჭარისტანში.

5) იმნაძე ანტონ ივანეს ძე—სატყეო საწყობის მეპატრონე, ბანდიტ მენშევიკების შემნახველი, წარმოადგენდა კავშირს პარიტეტულ კომიტეტთან.

6) ჩიტაიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე—ინტელიგენტი, მენშევიკების ცეკას რწმუნებული, ბათომის კომიტეტის წევრი, სცხოვრობდა არალეგალურად, ხელმძღვანელობდა სამხედრო ორგანიზაციას.

7) რამიშვილი აკაკი ონისიმეს ძე—ვაჭარი, სახალხო გვარდიის ყოფილი კომანდირი, მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციის სამეულის წევრი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების მომზადება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარისტანში.

8) გოგიაძე დიომიდე ალექსანდრეს ძე—ვაჭარი, ბანდიტი, მენშევიკი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარისტანში გამოსვლის მოწყობაში.

9) დადიანი დავით ნიკოლოზის ძე—სამხედრო - [illegible] მილიციის მცველ-მხლებელთა რაზმის ყოფილი უფროსი, მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციის აქტიური წევრი.

10) ფანცულაია აპოლონ ნიკოლოზის ძე—ინტელიგენტი, აქტიურად მუშაობდა მენშევიკების დავალებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

11) გორდელაძე ალათი მაქსიმეს ასული—კავშირი ჰქონდა მენშევიკების ცეკას ბათომის ორგანიზაციასთან, მალავდა აქტიურ მენშევიკებს, რომლებიც არალეგალურად სცხოვრობდენ.

12) ჩიქოვანი ავტონომ პლატონის ძე—აზნაური, სოციალისტ-ფედერალისტების ბათომის კომიტეტის წევრი, მონაწილეობას იღებდა სამხედრო ორგანიზაციაში.

განაჩენი ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პირებზე მოყვანილია სისრულეში 1 სექტემბერს ღამით.

მენშევიკური ავანტიურა დამარცხდა

ზუგდიდი.

ბანდიტებმა მოკლეს ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. როგავა.

ნაწამები ამხანაგები.

კავთისხევში აწამეს ალმასკომის თავმჯდომარე და რამოდენიმე კომუნისტი.

რას თხოულობდენ ბანდიტები.

ზუგდიდის და ახალსენაკის რაიონებში ბანდიტებმა მოითხოვეს შერიგება საზღვარგარეთ მათი გაშვების პირობით. მაგრამ ჩვენი რაზმები ბანდიტებთან არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავიდენ და განაგრძობდენ მათ დევნას. დაჭერილი ბანდიტები დახვრეტილ იქნენ.

როგორ უნდოდათ ხალხის მოტყუილება.

ყველა რაიონებში, სადაც კი ბანდიტები გამოდიოდენ, ისინი უსირცხვილოდ ატყუილებდენ მცხოვრებლებს, ავრცელებდენ რა სასაცილო ხმებს, რომ ვითომ საქართველოს მოსახლეობა, როგორც ერთი კაცი, ადგა დღეს მოძალადეთა წინააღმდეგ, რომ ვითომ კომუნისტების ხელისუფლების წინააღმდეგ აღსდგენ კავკასიის ყველა ხალხები, რომ კავკასიასთან ერთად აჯანყებას იწყებს მთელი რუსეთიც. ამის გარდა ბანდიტები არწმუნებდენ მოსახლეობას, რომ ვითომ ბათომში ინგლისელებმა გადმოსხეს დესანტი, ჩამოვიდა თვითონ ნოე ჟორდანია, რომ თბილისი დაკავებულია და სხვა სისულელეები.

ბანდიტების დაჭერა

საბერიოს რაიონში (სამურზაყანო)

ბანდიტების მეთაურათ იყო ყოფ. თავადი ჩხოტუა. ორ დღეში ტყვეთ იქნა წამოყვანილი 204 ბანდიტი.

რას მოითხოვს გლეხობა.

ჩიბურისხინჯის ღარიბ გლეხების კრება მოითხოვს მეთაურების დახვრეტის და დაჭერილ ბანდიტთა გამოყენებას სარწყავ მრხების გასაყვანათ. **გლეხები ყველგან ნებაყოფლობით ეხმარებოდენ ჩვენს რაზმებს.**

თავად ტ. წერეთლის „მთავრობა"

ჭიათურაში ბანდიტების ჯგუფი ყოფილ თავად წერეთლის მეთაურობით თავისთავს უწოდებდა დროებით რევოლიუციონურ მთავრობას. ბანდიტების ამ ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება, რომლითაც „ქალაქ ჭიათურაში და მის რაიონში საალყო წესები გამოაცხადა". ეს „მთავრობა" ყველაზე მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომელმაც მხოლოდ რამოდენიმე საათი იარსება.

აჭარისტანში სრული წესრიგია.

ბათომი. 3 სექტემბერი. აჭარისტანში სრული წესრიგია. მუშების და გლეხების განწყობილება მტკიცეა. გლეხების მიტინგებზე და კრებებზე ბათომში და აჭარისტანის მაზრებში გამოაქვთ დადგენილებები, რომლებშიაც მუშები და გლეხები ჰკიცხავენ ბანდიტ-მენშევიკებს, რომლებმაც აჯანყება მოაწყვეს მუშების და გლეხების წინააღმდეგ; მუშები და გლეხები წყევლა-კრულვით იხსენიებენ მათ საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი აღმშენებლობის დარღვევისათვის.

აჭარისტანის მუშები და გლეხები მიიღებენ ენერგიულ ზომებს მენშევიკ-ბანდიტების გამოსვლების ცდების შეუბრალებლად ჩაქრობისთვის.

ვაჭრები შემთხვევით სარგებლობენ.

ბათომი. 3 სექტ. მენშევიკური ცეკას და პარიტეტულ კომიტეტის ავანტიურისტების გამოსვლების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში დასავლეთ-საქართველოში, ბათომის ადგილობრივმა ვაჭრებმა ასწიეს ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე. ამ ბოროტების აღმოფხვრის მიზნით ცენტრალურმა საგანგებო ხუთეულმა წინადადება მისცა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აჭარისტანში სასტიკი თვალყური ადევნოს მტკიცე ფასების დაცვას პროდუქტებზე. ვაჭრების მიერ აწეულ ფასების სისტემატიურად დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობოს ეს ცენტრალურ საგანგებო ხუთეულს, რომელიც მიიღებს დამნაშავეების როგორც ეკონომიურ კონტრრევოლიუციონერების წინააღმდეგ უსასტიკეს ზომებს.

ბათომის უპარტიო მუშების ხმა

ბათომი. 3 სექტემბერი. საწარმოო კავშირების უპარტიო მუშებმა მართავენ მიტინგებს, რომლებზედაც მუშები მოითხოვენ მათ გაგზავნა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარზე და საბჭოთა ხელისუფლებაზე თავდამსხმელთა წინააღმდეგ.

საგანგებო ხუთეული აღნიშნავს რა იმ უპარტიო მუშების უსაზღვრო ენტუზიაზმს, რომლებიც მოითხოვენ მათ შეიარაღებას და გაგზავნას აჯანყებულ რაიონებში, [illegible] აჭარისტანის მუშებს, რომ მათი განცხადებები და დაჟინებითი მოთხოვნები იქნება გადამწყვეტი ფაქტორი მათი ხელისუფლების მტრების გასამართლების დროს. [illegible] იცოდენ ბანდიტ-მენშევიკებმა, [illegible] არის ძალა, რომელსაც [illegible] წინააღუდგეს საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების მრისხანებას.

გიზო ანჯაფარიძის დაპატიმრება.

ბათომის საგანგებო კომისიაში ამ დღეებში გამოცხადდა და ითხოვა პატიება ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ ყოფილ მენშევიკური პარტიისა, ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრი ბათომის ქალაქის თავი და ბათომის ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარე გიზო ანჯაფარიძე.

საქართველოს მშრომელთა და წითელ არმიელთა ხმა

ხუთშაბათს, 4 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია
თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი
ადგილკომების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრთა თანდასწრებით.

დღის წესრიგი:
უკანასკნელად საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ.
სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება.
ალმასკომის პრეზიდიუმი.

უნდა დაემორჩილოთ მშრომელთა ნებისყოფას

მეტყევეთა კავშირის 2-ე საფეხურის სკოლის მუშათა საზოგადო კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლების შესახებ. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ყოველი შეგნებული მუშა, რომელსაც ჯერ არ დავიწყებია ერთაშორის ომები და ის დანაკლისი, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ ომების დროს, უნდა დაგმოს მენშევიკური ბანდების ეს ავანტიურა და მოითხოვოს მთავრობისაგან გაბედული ზომები, რათა ერთხელ და სამუდამოდ მენშევიკებმა და სხვა კონტრრევოლიუციონერებმა გაიგონ, რომ მათი საქმე წაგებულია და მუშათა ხელისუფლება — საბჭოების ხელისუფლება შესძლებს მათ დამორჩილებას მშრომელთა ნებისყოფისადმი.

შრომის მშვიდობიანობა არ დარღვეულა

მოისმინა რა მოხსენება საქართველოში ამ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბების შესახებ, რომლებსაც შედეგად მოჰყვა მენშევიკების მუხანათურ ავანტიურას, № პოლკის, ქართული დივიზიის ნაწილების და № მსროლელ ავტო-ჯავშნოსან რაზმის წითელ-არმიელებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია მენშევიკების და მათი დამქაშების მოღალატური როლის წინააღმდეგ:

„წითელი არმია, განაცხადეს წითელარმიელებმა, არ დაუშვებს მუშათა და გლეხთა კლასის შრომის მშვიდობიანობის დარღვევას. ყოველგვარი ცდა ამისათვის აღმოფხვრილი იქნება შეუბრალებლად".

ერთსულოვნად და მტკიცედ ეუბნებიან წითელარმიელები მუშათა და გლეხთა მასებს: „ჩვენ სადარაჯოზე ვართ, საბჭოთა შრომის მშვიდობიანობა დაურღვეველია".

მილიციელების ხმა

სამილიციო რაიონის იაჩეიკის საზოგადო კრებაზე, მილიციონერებმა [illegible] თეთრ ბანდიტურ გამოსვლების მონაწილეთა და ორგანიზატორებისათვის.

ასეთ „გამოსვლებს" ვსთვლით ყაჩაღურ, ბანდიტურ გამოსვლებათ".

[illegible]ტრ-რევოლიუცია

[illegible]ხებ. მოხსენებას ამ[illegible] ხმებით [illegible]ს მტრე[illegible]

მტკიცეთ დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას

ქალაქის სასაკლაოების მუშათა კრებაზე ამხ. ხოჯაევის მოხსენების გამო, რომელმაც დაასურათა მდგომარეობა და მენშევიკურ „გამოსვლების ისტორია", კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

მკაცრი სასჯელი ყველა ბანდიტებს, რომლებიც თავის ბნელ საქმეებს ფარავენ ეროვნულ თავისუფლების ლოზუნგებით და მსოფლიო ბურჟუაზიის ფულით აწყობენ მუშათა სისხლის მღვრელ დარბევას.

ძირს ავანტიურისტი მენშევიკები!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს

ბოლო უნდა მოეღოს

(ალგულადი).

არასოდეს არ ახსოვს ალგულადს ასეთი გამოცოცხლება და აღშფოთება, როგორც 2 სექტემბერს, ალგულადის მოსამსახურეების საერთო კრების დროს. კრებას დაესწრენ მუშა-მოსამსახურეებს გარდა, აგრეთვე მოქალაქეებიც. მთავრობის ცნობის კითხვის დროს განუწყვეტლივ ისმოდა აღშფოთების და პროტესტის ხმები მენშევიკების ავანტიურის წინააღმდეგ.

მიღებულია ერთსულოვანი რეზოლიუცია, რომელიც აღშფოთებას გამოსთქვამს მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ.

— ჩვენ მზად ვართ, აცხადებენ ალგულადის მოსამსახურეები რეზოლიუციაში,—კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პირველი დაძახისთანავე გამოვიდეთ ჩვენი მონაპოვარის დასაცავად.

— მენშევიკურ გამოსვლებს საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ალგულადის მუშა-მოსამსახურეთა დეპეშა

თბილისი სახკომ საბჭოს

„ჩვენ ალგულადის მუშ-მოსამსახურეები, მოვისმინეთ რა მთავრობის ცნობა, გამოვსთქვამთ ჩვენს გულისწყრომას მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ და მზად ვართ პირველ გამოძახილთანავე გამოვიდეთ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

ტერიტორიალური ლეგიონის ხმა

მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და მენშევიკურ ავანტიურის შესახებ ტერიტორიალური ლეგიონის წითელარმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა აცხადებს:

„საერთაშორისო მდგომარეობიდან ნათლად სჩანს, რომ ოდესღაც მუშათა კლასის დამცველი სოციალ-დემოკრატიული პარტია „მენშევიკებისა" დიდი ხანია რაც გადიჩეხა ოპორტიუნიზმში, რომლებიც „სოციალისტური" იარლიკით გვერდზე ამოუდგა მუშათა კლასის სისხლის მსმელ ბურჟუაზიას. ამას ნათლად ამტკიცებს დღევანდელი მათი ლაქიობა საერთაშორისო იმპერიალისტების წინაშე და საქართველოს აწლეშათ გახრწნილ „მენშევიკების" მუშაობა, რომელთაც სურთ თავის ავანტიურისტული გამოსვლებით სისხლში ჩაახრჩონ მუშათა კლასი და მისი [illegible] საქართველოს კომუნის[illegible] ამტკიცებს ყოველი მათი მოქმედება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელიც გვავალებს ჩვენ სასტიკ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ლეგიონი ფიცსა სდებს პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავს საქართველოს მუშათა კლასს და მოითხოვს ავანტიურისტ-მენშევიკების ერთხელ და სამუდამოთ ფიზიკურათ განადგურებას. ჩვენ მზად ვართ ავანტიურისტების საპასუხოთ.

სიკვდილი ბანდიტებს და ყველა მათ დამქაშებს.

გაუმარჯოს მშრომელთა ინტერესების ერთად ერთ დამცველ კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა საქართველოს.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას.

[illegible]კთების თავმჯდომარე წითელარმიელი: ბ. [illegible]

გერმანია შეუდგა „შეთანხმების" პირობების შესრულებას

გერმანიამ გადასცა სარეპარაციო კომისიას ოცი მილიონი მარკა

რურის ზოგ ნაწილების ევაკუაცია დაიწყება მხოლოდ [illegible]

გერმანიის სესხის ნახევარს ანაღდებს [illegible]

გერმანია ვალებს იხდის

ნაუენი. 3 სექ. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა აცნობა ამერიკელ კორესპონდენტებს, რომლებიც იმყოფებიან ბერლინში, რომ გერმანიამ გადაიხადა 20 მილ. ოქროს მარკა (ავანსი სესხის ანგარიშში), რომელიც უკვე გადაეცემა სარეპარაციო კომისიის საშუალებით გენერალურ აგენტს იუნგს, რომელსაც მოელიან ბერლინში 4 სექტემბერს დილით.

სარეპარაციო კომისიაში

პარიზი. 3 სექტემბერი. სარეპარაციო კომისიის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა რეიხს ტაგის რეზოლიუციები სარეპარაციო კანონ-პროექტების შესახებ და აგრეთვე მიღებულ იქნა ცნობათ ის ფაქტი, რომ სარეპარაციო გადასახადების გენერალური აგენტი შეუდგა თავისს მოვალეობის შესრულებას.

პირველი პირობა შესრულებულია.

ბერლინი. 2 სექტემბერი. სარეპარაციო კომისიამ გუშინ ოფიციალურად აღნიშნა, რომ რეიხსტაგში ლონდონის შეთანხმების გატარებით გერმანიამ შეასრულა დოუესის გეგმის პირველი პირობა.

ვალდებულებებს ასრულებენ

რეიხსტაგის მოწვევა.

პარიზი, 3 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, შესაძლებელია, რომ რეიხსტაგი მოწვეულ იქნეს არა 10 ოქტომბერს, როგორც ეს განზრახული იყო, არამედ გაცილებით უფრო ადრე. გერმანიის მთავრობა მონდომებულია, რომ კანონპროექტი საბაჟო ტარიფის შესახებ მიღებულ იქნეს რეიხსტაგის მიერ მანამდე, სანამ დაიწყებოდეს მოლაპარაკება მოკავშირეებთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ.

შახტის მოგზაურობა.

ნაუენი, 3 სექტემბერი. რეიხსბანკის თავმჯდომარემ შახტმა დაამთავრა მოლაპარაკება იტალიის მსხვილ ფინანსისტებთან რომში. ეხლა ის აწარმოებს მოლაპარაკებას შვეიცარიის ნაციონალურ ბანკთან ციურიხში სარეპარაციო სესხზე ხელისმოწერის შესახებ.

სესხი გერმანიისათვის

800 მილიონიანი სესხი.

ბერლინი. 2 სექტემბერი. ლონდონის გაზეთების ცნობით, გერმანიის 8 პროცენტიანი სარეპარაციო სესხი ერთდროულად იქნება გამოშვებული ლონდონში, ნიუ-იორკში და კონტინენტის სატახტო ქალაქებში 15 ოქტომბერს. ამერიკა ხელს მოაწერს 400 მილიონს. ინგლისი—320 მილიონს, დანარჩენი ეთედი ნაწილი განაწილებული [illegible]ნება კონტინენტის ბანკირთა [illegible]რის.

ბერლინის ბირჟაზე.

ბერლინი. 2 სექტემბერი. ბერლინის ბირჟის განწყობილება მტკიცეა, სარეპარაციო კანონპროექტების მიღების და დორტმუნდის მოსალოდნელ ევაკუაციის გამო. [illegible] ეტყობა დიდი გამოცოცხლება.

დაპყრობილ ოლქებში

დორტმუნდის ევაკუაცია

ნაუენი. 3 სექტემბერი. დორტმუნდი დღემდე კიდევ არ არის დაცლილი. „ლან"-ის ცნობით, დორტმუნდის ზონის ევაკუაცია დაიწყება მხოლოდ 7 სექტემბრის შემდეგ და დამთავრდება მით, რომ საფრანგეთ-ბელგიის რკინის გზათა სამმართველო თავისს ფუნქციებს გადასცემს გერმანიის ახალ სარკინისგზო საზოგადოებას.

საფრანგეთ გერმანიის დელეგატების თათბირი.

ნაუენი. 3 სექტ. დღეს კობლენცში შესდგა საფრანგეთის და გერმანიის დელეგატების თათბირი დაკავებულ რაიონების ეკონომიურ და სამხედრო ევაკუაციისათვის ტეხნიკურ ზომების მიღების შესახებ.

საფრანგეთის ოფიციალური ცნობის თანახმად, საფრანგეთის ჯარები დასცლიან დორტმუნდს და [illegible]დის ზონებს 10 კვირის განმავლობაში.

ინგლისის პროფკავშირების კონგრესი

პერსელის სიტყვა

ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება მეტად სასარგებლოა ორივე მხარისათვის

შეთანხმება შეამცირებს უმუშევრობას ინგლისში

საჭიროა ბრძოლა ხელშეკრულების დასამტკიცებლად

ოპოზიციის გამოსვლა

გულლი. 2 სექტ. დღეს გულლში გაიხსნა ინგლისის ტრედიუნიონების მორიგი კონგრესი. კონგრესს ესწრება 724 დელეგატი, ტრედიუნიონების 4 ნახევარ მილიონი წევრის წარმომადგენლები.

პერსელის სიტყვა

მეასე წლის თავზე

ხსნის რა კონგრესის სხდომას, თავმჯდომარე პერსელი მისასალმებელ სიტყვაში აცხადებს:

„ჩვენ შევიკრიბეთ ინგლისის პროფმოძრაობის ასი წლის თავზე. ჩემ განზრახვას და მიზანს არ შეადგენს [illegible]ება-დიდებით შევამკო მუშათა მოძრაობა. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მუშათა მთავრობა დღეს გააერთიანებს თავის ძალებს იმ პროგრამის შესასრულებლად, რომლის ძალითაც ჩვენ გვეწოდება „მუშათა პარტია".

რჩევა „მუშა" მინისტრებს.

მუშა მინისტრების მოღვაწეობაში რა თქმა უნდა მოინახება შეცდომები. ერთად ერთი შეცდომა, რომელიც არ უნდა იქნეს ჩადენილი, მდგომარეობს იმაში, რათა არ იყონ ზედმეტად „მუშური" და არ ეშინოდეთ ე. წ. უმაღლეს კლასების დაცინვის.

მუშათა კლასის ამოცანები,

ჩვენი პირველი მიზანია გავაძლიეროთ ტრედიუნიონების აქტივობა და ძალები, რათა საშუალება მივსცეთ მუშათა კლასს თავის სასარგებლოთ გამოიყენოს მრეწველობა.

მუშაობის საშინელი პირობები.

სამუშაო დღის გადიდების შემოღება, მცირე ხელფასი, ქალთა მუშაობის საშინელი პირობები მოითხოვენ აქტიურ ღონისძიებას ნამდვილ პროფესიონალურ ორგანიზაციების შესაქმნელად. სასოფლო სამეურნეო მუშების ორგანიზაცია კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე მთელი ჩვენი მოძრაობა.

უმუშევრობა.

გარდა ამისა, დღემდის გვყავს კიდევ მილიონი უმუშევარი. ზოგიერთ მათგანს არა აქვთ სამუშაო 2—3 წლის განმავლობაში.

მუშები ქუჩაში ჰყრიან.

აყარებელი მუშები თავმოყრილია ბინძურ ქუჩებში. საბინაო პირობები აუტანელია.

ბურჟუაზია კი განცხრომით სცხოვრობს.

ჩვენ ვხედავთ აშკარა კონტრასტს ერთის მხრივ—მუშების სიღატაკე მეორეს მხრივ—მყვლეფელთა კლასი, რომელიც სარგებლობს უდიდესი უპირატესობით მუშათა კლასის წინაშე. ჩვენ უდიდეს ამოცანას შეადგენს საბოლოოდ გადავსწყვიტოთ სიღატაკის ეს პრობლემა, მივაღწიოთ იმ დოვლათის უფრო თანასწორად განაწილებას, რომელიც შექმნილია მუშათა კლასის შრომით.

დოუესის გეგმა.

გერმანიის მუშათა კლასი იღებს უდიდეს მსხვერპლს, განიცდის გაჭირვებას, იტანჯება ბრძოლაში. გერმანელმა მუშებმა უკვე გადაიხადეს რეპარაციების თავისი ნაწილი. სამაგიეროთ მსხვილი კაპიტალისტები, ექსპლოატატორები და სპეკულიანტები კიდევ უფრო გამდიდრდენ. მაგრამ გერმანელ მუშების მსხვერპლი ამით არ ამოწურულა. დოუესის გეგმა, რომელიც მიღებულია, როგორც სარეპარაციო საკითხის ახალი გადაჭრის საფუძველი, მოითხოვს, რათა გერმანიის რკინის გზების მე-4-ე კლასის მგზავრებმა იხადონ გადიდებული ფასები.

გერმანიის სრული დამონება.

დოუესის გეგმა საშუალებას მისცემს საერთაშორისო კაპიტალისტებს განსაზღვრონ სურსათ-სანოვაგის ფასები. ეს გეგმა ახდენს გერმანიის რკინის გზების დენაციონალიზაციას და მასზე და სხვა წარმოებებზე აწესებს საერთაშორისო ექსპლოატატორების კონტროლს. ეს მხოლოდ ამძიმებს ტვირთს, რომელიც აწევს გერმანელ მუშებს.

კაპიტალის შემოტევა.

მაგრამ იგი ამავე დროს მაჩვენებელია იმისა, რომ საერთაშორისო კაპიტალის ძალა-უფლება სულ უფრო და უფრო ფართოვდება. სწორედ იმ დროს, როდესაც ძალა-უფლება თითქმის გადადის ყველგან მშრომელთა კლასების ხელში, ეკონომიური სიძლიერე სულ უფრო და უფრო გროვდება ფულის არისტოკრატიის მცირე ჯგუფის ხელში. [illegible] პროფკავშირებმა უნდა მოითხოვონ, რომ თუ სარეპარაციო გადასახადები უნდა იქნას შეტანილი, იგი უნდა იქნას დაფარული ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მუშებს. რეპარაციების სიმძიმე უნდა დააწვეს ექსპლოატატორებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რათა 8 საათის სამუშაო დღე გერმანიაში არ შეეწიროს ამ რეპარაციებს.

ინგლისის მუშები და საბჭოთა კავშირი.

ჩვენ უკვე არა ერთხელ სხვა და სხვა საბაბით ულრმეს სიმპატიებს გამოვსთქვამდით საბჭოთა კავშირის მიმართ. კიდევ მეტი, 1920 წელ ჩვენ მივიღეთ გაბედული ზომები, რათა ხელი შეგვეშალა რუსეთზე თავდასხმისათვის. ამის შემდეგ ჩვენ არა ერთხელ ვსცდილობდით მისთვის დახმარების გაწევას. ამ ჟამად სიამოვნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის დიპლომატიური და პოლიტიკური ცნობა. უკვე გადადგმულია პირველი გაბედული ნაბიჯები.

საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობა.

ცარიზმის საშინელი ძალა-უფლება, წერა-კითხვის უცოდინარობა, სიღატაკე, ავადმყოფობა, ვალები,—ყველა ამ საკითხების გადაჭრას შეუდგა საბჭოთა რესპუბლიკა საოცარი გამბედაობით და ენერგიით. ეს საკითხები სწყდებოდა მაშინ, როცა რუსეთი ბლოკადაში იმყოფებოდა, მას თავს ესხმოდა ევროპის კოალიცია, როდესაც მას ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ გამცემლები და ავანტიურისტები. ჩვენ გაოცებული ვართ მიღწეული შედეგებით.

შეთანხმება სასარგებლოა ორივე მხარისათვის.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება ბევრს სარგებლობას მისცემს საბჭოთა კავშირს, ის ბევრს სარგებლობას მოგვცემს ჩვენც. ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ საბჭოთა რესპუბლიკებს ის საქონელი, რომელიც მას ესაჭიროება, სახელდობრ პროდუქტები მანქანების და გემების საამშენებლო მრეწველობისა, რომელშიაც ჩვენ ყველაზე უფრო განვიცდით უმუშევრობას. ჩვენ საშუალება გვაქვს მივსცეთ საბჭოთა კავშირს გემების ნაწილები, ელექტრონის მოწყობილობანი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ეს არა თუ სამუშაოს აღმოუჩენს უმუშევარ მილიონებს, არამედ იქნება პირველი ნაბიჯი წინ საბჭოთა კავშირისაგან ხორბლეულის მისაღებათ.

ეს დაუყოვნებლივ გავლენას იქონიებს პურის ფასის გაიაფებაზე ჩვენს ქვეყანაში, დასწევს ფასებს, რომლებსაც ასე მუხანათურად სწევენ ამერიკელი სპეკულიანტები.

სალამი საბჭოთა კავშირის პროფმუშაკებს.

კონგრესის დელეგატები უნდა მიესალმონ აქ მყოფ სრულიად რუსეთის პროფესიონალური მოძრაობის წარმომადგენლებს (ტაში). ორი თაობის წინ რუსეთის პროფესიონალური მოძრაობა მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენდა. ამ ჟამად კი საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ ხელშეკრულების დადებაში მსოფლიოს უდიდეს ერების მთავრობებთან. [illegible] ამ გამარჯვების მნიშვნელობას და მიესალმებიან მას, როგორც შეკავშირებული შრომის ძლიერების ახალ დამამტკიცებელ საბუთს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების მნიშვნელობა.

სამრეწველო თვალსაზრისით [illegible] საბჭოთა კავშირთან წარმოადგენს პირველ ხარისხოვან საკითხს. ამას აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, რომ მომავალში, როდესაც, ალბათ, კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლები ოპოზიციაში ჩაუდგებიან მას, ჩვენ მოგვიხდება ჩვენი მუშაობის გაძლიერება მუშათა მთავრობისათვის მხარის დასაჭერად, ხელშეკრულების საბოლოო რატიფიკაციის მიზნით.

თავიდან არ არის აცილებული იმის შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულების გარშემო შექმნილი ოპოზიცია შესძლებს მთავრობის ბედ-იღბლის გადაჭრას.

მე დაჟინებით მოვითხოვ, რომ დელეგატებმა გაითვალისწინონ ხელშეკრულების მთელი მნიშვნელობა. ეხლანდელ მდგომარეობასთან არაფერი საერთო არა აქვს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შედარებით სიმცირეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომამდე. ძირითად პუნქტს წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირი ამჟამად გაღატაკებულია და ეკონომიურად დაცემული. საბჭოთა კავშირის დიდძალი, პოტენციალური რესურსების განსავითარებლად, საბჭოთა კავშირის აღსადგენად საჭიროა სხვადასხვა სახის საქონელი.

საბჭოთა კავშირის სასურსათო შესაძლებლობანი ხდის მას უდიდეს ფაქტორად სასურსათო ფასების დაწევის საქმეში მთელს მსოფლიოში.

გამოვდივართ რა აქედან, ჩვენ [illegible] მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მივაღწიოთ ხელშეკრულების რატიფიკაციას.

მდგომარეობა ინდოეთში.

კონგრესის გენერალური საბჭო მუშათა პარტიასთან ერთად დიდხანს უცდიდა იმას, რომ მთავრობის პასუხისმგებელ დეპარტამენტს განეხილა სახელმწიფო საკითხები, რომლებიც შეეხებიან ინდოეთის პროფესიონალურ მოძრაობას და მუშაობის პირობებს მაღაროებში, რკინის გზებზე და სხვა წარმოებებში. ჩვენ ამას ვერ ვეღირსეთ. [illegible] ქალების და ბავშვების მდგომარეობა [illegible] უფრო უარესი არის, ვიდრე იყო ჩვენი მუშების მდგომარეობა წარსული საუკუნის ორმოციან წლებში. ინდოეთის მუშები მუდამ [illegible], ცდილობენ გაფიცვების და სხვა საშუალებებით გაუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. ადგილი აქვს მათ დახვრეტას და სხვა რეპრესიებს.

ჯამაგირის [illegible] სისტემა, რომელსაც ადგილი [illegible] ინდოეთში სავსებით [illegible] ხელში აგდებს მუშებს. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ ინდოეთის მუშებისადმი ასეთი მოპყრობის სისტემა გაუქმებული იქნეს. გაერთიანების, გაფიცვის უფლებები, სიტყვის და პრესის თავისუფლება — აი რას მოითხოვენ ინდოეთის მუშები.

ომის საფრთხე.

10 წლის წინ ჩვენ განვიცდიდით უდიდესი კატასტროფის პირველ თვეებს. მთელი მსოფლიოს მუშები ჩაბმულნი იყვნენ ძმათა სისხლის მღვრელ ხოცვა-ჟლეტაში. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ მაშინ ყველაზე უფრო დაზარალდა ჩვენი კლასი.

ყოველგვარ ომებს მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც ყველა ქვეყნის მუშათა კლასი შეიგნებს, რომ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს ამ ომებში მონაწილეობა. ყველა მთავრობებისათვის, იქნება კაპიტალისტური, მილიტარისტული, ან პროგრესიული, ნათელი უნდა გახდეს, რომ თუ ომი იფეთქებს, პირველი იარაღის გასროლა იქნება სიგნალი დიდ რევოლიუციონურ ცვლილებებისა თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური წყობილებაში. მე პირადათ სავსებით მუშების მხარეზე ვარ, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს იარაღის ჩვენი კლასის წინააღმდეგ გამოყენების გამო ჩვენსა და სხვა ქვეყნებში.

მემარცხენე ფრთის გამოსვლა

გულლი. 2 სექ. კონგრესის სხდომაზე მემარცხენე ფრთამ მიიტანა პირველი იერიში თავმჯდომარის მოხსენების წინააღმდეგ და ამისათვის აირჩია მოხსენების მუხლი მუშათა მთავრობის შესახებ.

გარრი პოლლიტმა აღნიშნა, რომ მომხსენებელი თითქოს ჩუმად ეთანხმება ყველაფერ იმას, რაც მაკდონალდის მთავრობამ გააკეთა. პოლლიტმა განაცხადა:

„არ შეიძლება პროლეტარიატის პროფესიონალური მოძრაობა ჩამოვაშოროთ პოლიტიკურს. მუშათა მთავრობა დამყარებულია კავშირებზე, რომლებიც წარმოადგენენ მუშათა მთავრობის საწველ ფურებს. მომხსენებელი სრულიად არ შეხებია გაფიცვების დროს მთავრობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა საკითხს და დოუესის გეგმას".

მაკდონალდი ხელს უწყობს ომის საფრთხეს.

პოლლიტმა შემდეგ განაცხადა:

„ჩვენ, კონგრესს აქვს კრიტიკის განუსაზღვრელი უფლება. ჩვენ მუშათა კლასის გამცემლები ვიქნებოდით თუ არ დავგმობდით კანონს განსაკუთრებულ ზომების შესახებ და დოუესის გეგმას ან არ განვიხილავდ[illegible] მთავრობის პოლიტიკას მოსალოდნ[illegible] ომის საკითხში, რომელიც აუცილებ[illegible] მოჰყვება მაკდონალდის პოლიტიკას.

მუშათა მთავრობა [illegible]შებს

პოლლიტს [illegible] დაუჭირეს [illegible] წარმოებათ [illegible] სახელმწიფო მოსამსახურეთა [illegible] მთავრობის მოქმედებას [illegible] მუშების [illegible] თავმჯდომარის მოხსენება [illegible] იგი შედგენილი იყო [illegible] მიზნით.

[illegible] სიტყვით, სახელმწიფო მოსამსახურეების წინააღმდეგ [illegible] რეპრესიები [illegible] მთავრობის [illegible] აჭარბებენ [illegible].

მემარცხენე ფრთის მიერ შემოტანილი შესწორება უარყოფილი ხმების დიდი უმრავლესობით.

კონგრესის რეზოლიუცია

ნაუენი. 3 სექტემბერი. ტრედიუნიონების მემარცხენე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია დოუესის გეგმის უარყოფის შესახებ უარყოფილ იქნა კონგრესის უმრავლესობის მიერ.

ფაშისტური მოძრაობა ჩინეთში

ფაშისტებს დახმარებას უწევენ ინგლისელები და ფრანგები

სუნ-იატ-სენი ჯარებით შანხაისაკენ მიდის

შანხაის ნავთსადგურში თავს იყრის ამერიკის ფლოტი

შანხაიში უცხოელთა უბანში ბარიკადებს მართავენ

ინგლისის ელჩის ულტიმატუმი

პეკინი. 2 სექტემბერი. ინგლისის ელჩმა კანტონში წარუდგინა სუნ-იატ-სენს ულტიმატუმი.

უცხოელების დაცვის მომიზეზებით, ინგლისი დახმარებას უწევს იარაღით ფაშისტურ რაზმებს, რომლებიც შექმნილია ჩინეთის ვაჭრების მიერ რესპუბლიკანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დახმარების მიზანია—გომინდანის პარტიის მთავრობის ჩამოგდება და მთავრობის შექმნა ინგლისის საიდუმლო აგენტის ჩენ-ლინ-პაკის მეთაურობით, რომელიც არის გონკონგ-შანჰაის ბანკის წარმომადგენელი.

სუნ-იატ-სენის მანიფესტი.

პეკინი. 2 სექტემბერი. სუნ-იატ-სენმა გამოაქვეყნა კანტონში მანიფესტი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ის არ სცეროდა, რომ აჯანყებას მისი მთავრობის წინააღმდეგ მხარს დაუჭერდა ინგლისი, ვინაიდან ინგლისის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მუშათა პარტია, რომელიც თავის კონფერენციებზე და პროგრამაში თანაგრძნობას უცხადებს ჩაგრულ ერებს.

მაგრამ ეხლა სიმართლე აშკარად გამოირკვა. მანიფესტში ნათქვამია, რომ ინგლისის წარმომადგენელი ბახვრეტით ემუქრება კანტონის ჩინელ მმართველებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადასდგამენ ნაბიჯებს, რომლებიც მათ გაუადვილებდა ბრძოლას კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ.

გომინდანის მთავრობას სურს იმპერიალიზმის დამხობა. ამიტომ ჩინეთისაკენ მიმართულია ინგლისის ზარბაზნები. დადგა დრო, როდესაც დღის წესრიგში დასმულია დამხობა ჩინეთში იმპერიალისტური ინტერვენციის, რომელიც წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას რევოლიუციის ისტორიული საქმის დაგვირგვინებისათვის.

სუნ-იატ-სენის შეტევა.

რომი, 3 სექტ. სუნ-იატ-სენი დიდი რაზმით მიდის შანხაისაკენ.

ევროპის მოხალისე ჯარები იცავენ ევროპიელების ქონებას.

კრიტიკული მდგომარეობის გამო, გადმოსხეს ევროპიელ მეზღვაურთა ახალი დესანტი.

პარიზი. 3 სექტ. საფრანგეთის საზღვაო ძალების სარდალმა ჩინეთში მიიღო ბრძანება მიიღოს აუცილებელი ზომები საფრანგეთის მოქალაქეების დასაცავად შანხაის რაიონში.

ამერიკელების პროვოკაცია

ლონდონი, 2 სექ. გართულებული მდგომარეობის გამო, უცხოელები შანხაიში აკეთებენ ბარიკადებს და აღგენენ მოხალისეთა კორპუსს. შანხაიში მიდის ამერიკის მთელი ფლოტი, რომელიც იმყოფება ჩინეთის ზღვებში.

სავინკოვის პროცესის გამოძახილი

ინგლისის პრესა სავინკოვის პროცესის შესახებ.

ლონდონი. 2 სექტემბერი. ინგლისის პრესა ჯერ არავითარ კომენტარიებს არ უკეთებს სავინკოვის პროცესს და უძღვის უფრო დაწვრილებით ცნობებს. მხოლოდ „მორნინგ პოსტი" აღნიშნავს, რომ სავინკოვის რუსი მეგობრები გამოსთქვამენ ეჭვს იმაში, ნამდვილად დააპატიმრეს თუ არა სავინკოვი. ერთი თვის წინად ის გაემგზავრა პარიზიდან და არაფერი არ უთქვამს მეგობრებისათვის, რომ რუსეთში მიემგზავრებოდა. გაზეთის სიტყვით, დასტურდება ხმები იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხანებში სავინკოვს განზრახული ჰქონდა შერიგება ბოლშევიკებთან.

„კურიერ პოლსკი" სწერს: „საბჭოთა ხელისუფლების მთავარი მტერი მისი მოკავშირე გახდა. საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია სთქვას, რომ რუსეთის ემიგრაციის პოლიტიკური ისტორია დამთავრებულია".

„გაზეტა ვარშავსკა" სწერს: „ის ცხოვრობდა ჩვენს შორის, იყო პოლონეთის მოკავშირე მის ბრძოლაში წითელი მოსკოვის წინააღმდეგ. ეხლა სავინკოვი აღარ არის".

„გაზეტა პორანნა" სწერს: „სავინკოვი და ტიუტიუნიკი იყვნენ ფიგურები, რომელთა შემწეობით პოლონეთის მემარცხენე ბურჟუაზიული პარტიები ქმნიდენ თავიანთ ფედერალისტურ გეგმებს. ტიუტიუნიკმა გამოიყენა ეს გეგმები პოლონეთთან ბრძოლისათვის, მაგრამ სავინკოვი გაცილებით უფრო საშიშია ტიუტიუნიკზე".

სხვა და სხვა ამბები

— **გერმანიის კოლონიების გაყიდვა.** ლონდონიდან მიღებული ცნობით გერმანიის ყოფილი კოლონია აფრიკაში კამერუნი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ლონდონში.

— **გაფიცვა გრძელდება.** ბორინაჟში (ბელგია) ფეიქრების გაფიცვა გრძელდება.

— **გერმანიის მბეჭდავების მიწვევა.** ამერიკის მბეჭდავთა კავშირმა გერმანელი მბეჭდავები მიიწვია თავის ყრილობაზე, რომელიც ჩიკაგოში გაიხსნება პირველ ოქტომბერს.

— **სამაგიერო უხდის.** ტოკიოში იაპონელმა სოციალისტმა მოკლა გენერალი გუსუხურა, რომელმაც მიწის ძვრის დროს დახოცა მუშები.

— **მაროკოში.** გიბრალტარიდან მიღებული ცნობებით, ჩრდილოეთ მაროკოს მცხოვრებლებმა დაიკავეს ყველა სტრატეგიული პუნქტები. რკინის გზით მიმოსვლა ტანჟერ-ტეტუანს შორის შეწყდა. რამოდენიმე მუშა-ესპანელი მოკლეს ტანჟერ-ფეცის ხაზზე. ესპანეთის მთავრობა ახალ ჯარებს აგზავნის მაროკოში.

— **ერთა ლიგის სესია.** დღეს ჟენევაში გაიხსნება ერთა ლიგის საბჭოს სესია.

— **უმუშევრობის ზრდა ინგლისში.** უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით, უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი ინგლისში 112.000 კაცით გაიზარდა. სულ ამჟამად ინგლისში 1.122.000 უმუშევარი არის.

— **ცვლილებები იტალიის მთავრობაში.** მუსოლინის განზრახვა აქვს ზოგიერთი სამინისტროები ლიბერალური პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებს ჩააბაროს.

— **მატეოტის მოკვლის საქმე.** გამოძიება მატეოტის მოკვლის საქმის გარშემო გრძელდება.

— **აფეთქება ათინაში.** ათინაში (საბერძნეთი) აფეთქდა სამხედრო საწყობი. მსხვერპლი დიდია.

კომინტერნში

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის

მოსკოვი. 1 სექტემბერი. კომინტერნის აღმასკომმა ყველა ქვეყნის კომპარტიებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი 7 სექტემბერს დღესასწაულობს ახალგაზრდათა მეათე საერთაშორისო დღეს. მსოფლიოს ყველა ქვეყნებში რევოლიუციონურ ახალგაზრდობის მილიონები მწყობრი რიგებით გამოვლენ ქუჩებში, რათა კვლავ, როგორც ყოველთვის, მძლავრ დემონსტრაციებით დაათვალიერონ თავისი ძალები და მოამზადონ ბრძოლისათვის იმპერიალისტურ ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. ამხანაგებო! რამოდენიმე წლის წინეთ ბურჟუაზიული მსოფლიო [illegible] იმპერიალისტურ ომის 10 წლის თავზე თქვენ მიერ გამართულ მძლავრ დემონსტრაციების წინაშე. არ მისცეთ მას მოსვენება! გაიხსენეთ მეათე საერთაშორისო დღე, რომ ჩვენ გმირულ რევოლიუციონერ მუშა-ქალებთან და მუშებთან საომარ კავშირში ვესროლოთ იმპერიალიზმის ეპოქას და ბურჟუაზიის რეაქციას პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგი: „პროლეტარულ რევოლიუციისაკენ, მდიდართა წინააღმდეგ ღარიბთა სამოქალაქო ომისაკენ!"

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეები ჩვენი ბრძოლის ეტაპებია, პირველ მათგანს ადგილი ჰქონდა 1915 წლის ოქტომბერში სამხედრო ორომტრიალის ქარცეცხლში. მეათე დღე იმართება 1924 წელს. გაძლიერებულ სამხედრო შეიარაღების, პროლეტარიატის არაჩვეულებრივ ყვლეფისა და შეიდემან-ვანდერველდეს დაგვარ იმ სოციალ-იმპერიალისტების საზიზღარ ღალატის დროს, რომლებმაც ერთხელ უკვე გაგაგზავნეთ კაპიტალისტურ სასაკლაოზე. „გახსოვდეთ სოციალ-დემოკრატების ღალატი ომის დროს"—მოუწოდებდა ლენინი ყველა ქვეყნის მუშებს. ჩვენ ვიმეორებთ მის ყიჟინას ნუ გავიწყდებათ, რომ ამით თქვენ ამზადებთ შურისძიებას, წარსულ ომთან შედარებით ათასჯერ უფრო საზარელ ახალ ომის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციის საშუალებით. ჩვენი მუშური ახალგაზრდობა წარმოადგენს ყოველ იმპერიალისტურ ომის პირველ მსხვერპლს, ამიტომაც ჩვენ დემონსტრაციას მასთან ერთად ვმართავთ.

მუშა-ქალნო, დედებო, გაიხსენეთ თქვენი მოკლული შვილები,—მოკლულნი არა თქვენი გულისთვის, არამედ თქვენ მაწამებელ-კაპიტალისტების ინტერესებისათვის.

ახალგაზრდათა მეათე საერთაშორისო დღე აშენებს ბრძოლის რკინის ფრონტს ყველა ქვეყნის კომპარტიებსა და კომუნისტურ ახალგაზრდობის შორის.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ახალგაზრდობას. გაუმარჯოს ჩვენს საერთო რევოლიუციონურ ბრძოლას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ამხ. ლენინზე თავდასხმის 6 წლის თავი მოსკოვში

მოსკოვი. 30 აგვისტო. ლენინის სახელობის ქარხნის კლუბში გაიმართა მოგონებათა საღამო, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინზე თავდასხმის 5 წლის თავისადმი. კლუბის შენობა გაჭედილი იყო ქარხნის მუშებით და მუშა ქალებით; კლუბი ვერ იტევდა საღამოზე დასწრების მსურველებს. ტრიბუნაზე ადიან ამხ. იაროსლავსკი, შელგუნოვი—ილიჩის უძველესი მეგობარი, ივანოვი—1918 წლის 30 აგვისტოს მიტინგის თავმჯდომარე მიხელსონის ქარხანაში და სხვა მოწმეები თავდასხმის. პირველი სიტყვა მიეცა ამხ. იაროსლავსკის, რომელმაც ნათელ შტრიხებით გააშუქა 1918 წლის 30 აგვისტოს ამბები.

ამხ. შელგუნოვი იგონებს მის შეხვედრას ლენინთან 1893 წელს, ფაქტებით ასაბუთებს იმას, თუ როგორი სისწორით უდგებოდა ლენინი მუშათა მასებს.

ქარხნის მუშების მოგონებებიდან მეტად საინტერესოა ამხ. ივანოვის მოგონება, რომელმაც ნათლად დაასურათა თავდასხმის მომენტი და მუშების აღშფოთება ამ ამბით. დამსწრეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ, ლენინის ქარხნის სახელობის მუშები ვაცხადებთ, რომ ილიჩზე თავდასხმამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა ჩვენი რიგები კომუნისტურ პარტიასთან; კომუნიზმის საქმეს ჩვენ მივიყვანთ სასურველ ბოლომდე".

ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის პრინციპი.

მოსკოვი, 1 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკ-მა დაადგინა, რომ მოსახლეობის თვითდაბეგვრა ადგილობრივ საზოგადოებრივ საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, შესაძლებელია მხოლოდ ნებადართულ ორგანიზაციაში გაერთიანებულ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე. ადგილობრივ ფინანსიურ და ადმინისტრატიულ და საფინანსო ორგანოების მონაწილეობა თვითდაბეგვრის გატარებაში და ცალკე მოქალაქეებისაგან თანხების აკრეფა აკრძალულია.

უმუშევართა წმენდა.

მოსკოვი, 1 სექტემბერი. მოსკოვის 124.000 უმუშევრიდან გამოკვლეულია 50.000 უმუშევარი. უმუშევართა შორის აღმოჩენილია მედუქნეები, ექიმი კარგი კერძო პრაქტიკით, სახლის პატრონები, შინა-მრეწველნი და მონტიორები გვარიანი კერძო შემოსავლით. მეორეს მხრით გამომკვლევმა კომისიამ აღმოაჩინა ნამდვილი გაჭირვება ცალკე ოჯახებში, რომელთა წევრები უმუშევრებათ არ ირიცხებოდნენ. შემოსავლიანი „უმუშევრები" გამორიცხული იქნენ უმუშევართა სიებიდან და მათ მაგიერ ჩარიცხული არიან ნამდვილი უმუშევარნი.

ილიჩის საფლავზე.

ოდესა 1 სექტ. ადგილობრივ მუშებს შორის ხშირდება მოსკოვში სპეციალურათ ლენინის მავზოლეის დასათვალიერებლად გამგზავრების შემთხვევები. ამ დღეებში, ამ მიზნით მიემგზავრებიან ნავთსადგურის დაწესებულებების, გემთა აღმშენებელ ქარხნების მუშათა ჯგუფი და სამხედრო ტრანსპორტის აქტიური მუშაკები.

„საბჭოთა კავშირის მეგობართა ამერიკის საზოგადოების" წევრი მოსკოვში.

მოსკოვი. 2 სექტ. მოსკოვში ამერიკიდან ჩამოვიდა მოქალაქე ვერი „საბჭოთა კავშირის მეგობართა ამერიკის საზოგადოების" წევრი, რომელმაც რამოდენიმე წლის წინ ითავა ტრაქტორების დიდი პარტიის გამოგზავნა საბჭოთა კავშირში. ეხლა მოქალაქე ვერს განზრახული აქვს მოაწყოს საბჭოთა კავშირში სანიმუშო წარმოება ამერიკულ მეთოდების გამოყენებით, აწარმოოს სასოფლო მეურნეობა გამოცდილ ამერიკელ სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ვერის სიტყვით მუშაობაში თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ ამერიკის სასოფლო-სამეურნეო სადგურებმა.

ასტრონომების სრულიად საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი, 2 სექტ. 25 სექტემბერს მოსკოვში მოწვეული იქნება ასტრონომების სრულიად საკავშირო ყრილობა.

ამხ. რიკოვის მოგზაურობა

მოუსავლიან ადგილების დათვალიერება

ნოვო-უზენსკი, 2 სექ. „პოვოლჟიეს" მოუსავლიან ადგილების დათვალიერების დროს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა ინახულა მთელი რიგი სოფლებისა ნოვო-უზენის მაზრაში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა მოუსავლიანობისაგან. ამხ. რიკოვი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ღარიბეს გლეხობის მდგომარეობით და ადგილობრივ სწავლობდა სოფლის კლასობრივად დაყოფის პროცესს.

სოფელ ნოვო-ტულოვკაში, ვოლგიდან 150 ვერსის დაშორებით, გლეხები აღტაცებით შეხვდენ ამხ. რიკოვს. მის თანდასწრებით გაიმართა სოფლის ყრილობა, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ და კომიაჩეიკის მდივანმა. მომხსენებლებმა ყურადღება მიაქციეს სასოფლო საბჭოს აპარატის გაუმჯობესებას და გლეხთა თვითშეგნების განვითარებას.

ამხ. რიკოვმა თავის მოხსენებაში დაასურათა გლეხების წინაშე მოუსავლიან ადგილების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საჭიროა დახმარების საკითხს მიუდგნენ კლასიურის თვალსაზრისით. გლეხებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამხ. რიკოვის მოხსენების გამო გამართულ კამათში. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო გლეხი-ქალების შეგნებული გამოსვლა.

გლეხები დიდი სტუმართმოყვარეობით ხვდებიან ამხ. რიკოვს, რომელიც ჩერდება გლეხთა ქოხებში.

ამხ. რიკოვი პოკროვსკში

პოკროვსკი. 2 სექტემბერი. 30 აგვისტოს ამხ. რიკოვი ჩავიდა პოკროვსკში, პოვოლჟიეს გერმანელების რესპუბლიკის მთავარ-ქალაქში. მცხოვრებლები გულითადი სალმით შეხვდნენ ამხ. რიკოვს.

ქალაქის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ამხ. რიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

კამიშინში ამხ. რიკოვი გამოვიდა ქალაქის საბჭოს სხდომაზე, სადაც აგრეთვე გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს კომისიამ, რომელიც ამხ. რიკოვს თან ახლდა, მისცა კამიშინის საბავშვო სახლებს და პიონერების რაზმებს 5.000 მან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

სპორტიული შეჯიბრება.

ბაქო. 27 აგვისტო. 4—5 სექტემბერს ბაქოში გაიმართება გრანდიოზული სპორტიული შეჯიბრება, რომელიც დაიწყება რბენით. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა სპორტორგანიზაციები და პიონერები. შეჯიბრების ინიციატორია ფიზიკურ კულტურის საბჭო.

ახალი ტურბინა.

ბაქო. 27 აგვისტო. ბერლინიდან გამოგზავნილია ტურბინა ბიბი-ეიბატის ელექტრონის სადგურისათვის.

წყალზე მომუშავეთა შორის.

ბაქო. 27 აგვისტო. წყალზე მომუშავე უმუშევართა სექციამ დაამთავრა უმუშევარ მეზღვაურთა წმენდა. წმენდაში გატარდა 672 მეზღვაური და 395 კაცი ნავთსადგურში მომუშავე. გამორიცხულია 104 კაცი, დარჩა 953. უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით მოწყობილი იქნება საზოგადოებრივი არტელები და კოლექტივები სხვადასხვა მასალების დასატვირთავად; სწარმოებს აგრეთვე მუშაობა ამხ. ტროცკის სახელობის ტვირთსაზიდავ არტელში და კომინტერნის სახ. ქარხანაში.

1924—1925 წ. წ. ბიუჯეტი.

ბაქო. 27 აგვ. ბაქოს საბჭოს საგეგმო კომისიის სხდომამ დაამტკიცა 1924—1925 წ. წ. შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვა მიღებული იქნა კომისიის მიერ. ამასთანავე დადგენილ იქნა გადიდებულ იქნას ასიგნობები შემდეგ მუხლებში: მილიციის და სისხლის სამართლის ძიების მილიციის შესანახად 100,000 მან. სახალხო განათლებისათვის—20.000 მ. ჯანმრთელობის დაცვისათვის—45.000 მან. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებისათვის—250.000 მანეთი.

კომუნალურ ბანკის მოქმედება

ბაქო 27 აგვისტო. პირველ 4 დღის განმავლობაში ქალაქის ბანკში შემოვიდა აუარებელი განცხადებანი სახლების ასაშენებლად სესხის მიღების შესახებ. გაფართოვდა მიმდინარე ანგარიშზე შეტანის და საქონლისათვის—სესხის მიცემის ოპერაციები. დიდ ინტერესს იჩენენ კლიენტები ბანკის საქონლის საკომისიო ოპერაციებისადმი.

ბანკმა დასდო ხელშეკრულება სახელმწიფო ორგანოებთან, რომლის თანახმად ბანკმა გახსნა მიმდინარე ანგარიშები საქონლისათვის 200.000 მანეთი.

აზერბეიჯანის შესწავლა.

ბაქო. 27 აგვისტო. აზერბეიჯანის შემსწავლელ საზოგადოების საისტორიო-საეთნოგრაფიო სექციამ დაადგინა სექციასთან არსებული აზერბეიჯანის შესწავლის კურსები გადაკეთდეს მუდმივ სასწავლებლად. გადასწყდა მოეწყოს სექციასთან პოლიტიკურ-ეკონომიური განყოფილება, რომლის მუშაობაში სექციას განზრახული აქვს ჩააბას აზერბეიჯანის ისტორიით დაინტერესებული პირები.

სომხეთი.

სასოფლო-სამეურნეო ტრესტი.

ერევანი. 27 აგვისტო. დამთავრდა სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ტრესტის ორგანიზაცია. ტრესტში შედის 2-ე, 3-ე და 4-ე საკონსერვო ქარხნები.

მეაბრეშუმეობა.

ერევანი. 27 აგვისტო. ადგილობრივ სადგურზე მზადდება 4,000 კოლოფი ბაღდადის თეთრი აბრეშუმის თესლი; ბეგრში—6,000 კოლოფი. სომხეთს დასჭირდება 2,000 კოლოფი, დანარჩენი გასაგზავნი იქნება საბჭოთა კავშირში

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

პირველი დღე

6

2 სექტემბერი

დილის სხდომა

დებულება ა. | კ. ს. ფ. ს. რ. ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა შესახებ

(მომხსენებელი ამხ. შავერდოვი)

ამხ. მომხსენებელი შეეხო ა. | კ. ცაკის, სახ. კომ. საბჭოს და ა. | კავ. სახალხო კომისარიატების უფლებამოსილობის საკითხებს. იგი აცნობს სესიას მორიგი და საგანგებოდ მოსაწვევ სესიების წესს, დებულებას სესიის ქვორუმის შესახებ, საკითხის გარჩევის და კენჭის ყრის წესს და სხვას.

მომხსენებელი აღნიშნავს საკითხებს, რომლის გადასაწყვეტად უფლებამოსილია ა. | კ. ცაკი და სახ. კომისართა საბჭო; მომხსენებელი არკვევს აგრეთვე სახალხო კომისართა და კოლლეგიის წევრთა დანიშვნის და გადაყენების წესებს და ამასთანავე აღნიშნავს სახალხო კომისართა და კოლლეგიების წევრთა უფლებებს.

ამხ. შავერდოვის მოხსენების შემდეგ სესსის სხდომა შეწყდა საღამოს 6 საათამდე.

საღამოს სხდომა

ა. | კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ქ. ჩხენკელი)

მომხსენებელი ეხება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარების საკითხს საბჭოთა კავშირში, აღნიშნავს კრედიტის დღევანდელ პირობებს, სესხის მიცემის ახალ სისტემას და შემდეგ გადადის ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის მოქმედების დახასიათებაზე

ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის საკრედიტო მოქმედება.

მიუხედავათ მეტად განსაზღვრულ ძირითად თანხებისა, სას.-სამეურ. ბანკმა თავის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში საგრძნობი დახმარება გაუწია ა.-კ. სასოფლო-მეურნეობას. ბანკი მოკლე ვადიანი სესხის გაცემით დახმარებას უწევდა სასოფლო-მეურნეობის ისეთ დარგებს, რომელსაც უსაღსრობის გამო განადგურება მოელოდათ.

ა. კ. მეცხვარეობისათვის ბანკმა გაიღო სესხად 330 ათასი მანეთი, გლეხ მებამბეებს ავანსად დაურიგდათ 300 ათასი მანეთამდე, ამდენივე თანხა მიეცათ მეაბრეშუმე გლეხებს. ჩაის კულტურის განსავითარებლად ბანკმა გასცა სესხად 200 ათასი მანეთი. სარძეო მეურნეობას მიეცა 150 ათასი მანეთი ავანსი. ავანსი დაურიგდათ აგრეთვე მეღვინე-მევენახე გლეხებს 100 ათასი მანეთის რაოდენობით.

ერთი სიტყვით უნდა აღინიშნოს ერთი, რომ ბანკის მოქმედება სრულიად მოკლებულია კომერციულ ხასიათს კერძო პირთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად და აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის კრედიტით უზრუნველყოფას.

სესხი კლიენტებს (რესპუბლიკის სას. სამეურნეო ბანკებს, „წარმოკავშირს" „ცეკავშირს", პირველი საფეხურის სასოფ.-სამეურ. კოოპერატივებს. საკრედიტო ამხანაგობათ, გლეხკომებს და სხვას) ეძლეოდათ შეღავათიან და მისაწვდომ პირობებში.

რესპუბლიკის ბანკებს სესხი ეძლეოდათ 8 პროცენტიანი სარგებლით იმ პირობით, რომ გლეხობისათვის 12 პროცენტზე მეტი სარგებელი არ გადაეხდევინებინათ. ხოლო უშუალოდ ა. კ. სასოფ.-სამ. ბანკიდან სესხის მიმღებთ სესხი ეძლევათ 11 პროცენტის სარგებლით.

ამგვარად სასოფლო მეურნეობის მრავალი დარგი (მაგ. მებამბეობას მეცხვარეობა, მატყლის მომარაგება), აუცილებლად შეწყვეტდა თავის მოქმედებას, რომ ა | კ. სასოფლო სამეურნეო ბანკს სესხი არ მიეცა.

ქვედა საფეხურის საკრედიტო სისტემა.

გლეხობისათვის ფართოდ სესხის მიცემის საკითხის განსახორციელებლად, საჭირო შეიქნა სასოფ.-სამეურ. საკრედიტო ამხანაგობათა სისტემათა ორგანიზაცია, რისთვის სწარმოებდა სათანადო მუშაობა.

ამჟამად აზერბეიჯანში სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებათა რიცხვი უდრის 73, რომლის საპაიო თანხა 33 ათასს მანეთს შეადგენს. ამ საზოგადოებათა სამოქმედო რაიონის მეურნეობათა რიცხვი უდრის—94 ათასს, რომელთაგან 20 ათასი უკვე ითვლება საზოგადოების წევრებათ.

სომხეთში ძირითად საკრედიტო საზოგადოებათა რიცხვი უდრის 14-ს—35 ათასი მან. საპაიო კაპიტალით. და აერთიანებს 4.500 მეურნეობას.

საქართველოში საკრედიტო ამხანაგობა მოწყობის სტადიაში იმყოფება. კახეთში უკვე დაარსდა 15 საკრედიტო ამხანაგობა, ხოლო დასავლეთ საქართველოში—9.

ა | კ. სასოფლო-სამ. ბანკმა ითავა აგრეთვე აფხაზეთის სას.-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა ორგანიზაცია, რისთვისაც გამომუშავებული იქნა წესდება. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა დამფუძნებელთა შორის არის ა | კ. სას.-სამ. ბანკი, რომელსაც საპაიოდ გადადებული აქვს 100 ათასი მანეთი.

პურის დასაწინდებელი ოპერაციები.

დღის წესრიგში სდგას მოსავლის მოწევასთან დაკავშირებული პურის დასაწინდებელი ოპერაციები, რომლის ჩასატარებლად ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო ჯერჯერობით 200 ათასი მანეთი და რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოახლოების გამო, ფინანსიურ სახსარს მოკლებული გლეხი იძულებული ხდება ჩალის ფასად მიჰყიდოს ჩარჩს მოწეული პურის მარაგი. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად სასოფლო-სამეურ. ბანკი გასაყიდი პურის საწინდრის ქვეშ აძლევს საჭირო თანხას სესხად, რომელსაც იგი გადაიხდის მას შემდეგ, როცა გასაღებისათვის უფრო ხელსაყრელს დროში გაჰყიდის თავის ნამუშევარს.

მუშა საქონლის და სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოწოდება.

ერთ მნიშვნელოვან საკითხად ითვლება გლეხობისათვის ცოცხალი საქონლის და სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდება. ა | კ. სას.-სამეურნეო ბანკმა შეუკვეთა ა | კ. ცალკე რაიონებისათვის გამოსადეგი სამეურნეო იარაღები, ხოლო გლეხობისათვის მუშა საქონლის მისაწოდებლად რესპუბლიკების ბანკებს გაუხსნა კრედიტი.

სამელიორაციო მუშაობის საწარმოებლად ბანკისაგან მიღებულია ზომები გრძელვადიანი სესხის გამოთხოვისათვის საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან პერიოდულად. თანხების მიღება ა | კ. ბანკს საშუალებას აძლევს გააფართოვოს შეუჩერებლად გეგმაშეწონილი მუშაობა სასოფლო-მეურნეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

დასასრულ მომხსენებელი სესიას აცნობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა სისტემის რეორგანიზაციის დებულებებს, რომლის თანახმად რესპუბლიკანურ ბანკების და საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობა უნდა ტარდებოდეს ა. | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის საკრედიტო ოპერაციების გეგმასთან შეფარდებით. ამ გეგმით გათვალისწინებულია კრედიტების განწესრიგება სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ დარგისათვის, სესხის და სარგებლის განსაზღვრა, სესხის გაცემის წესი და სხვა.

დებულებათა განსახილველად არჩეულ იქნა კომისია 9 კაცისაგან.

საძოვრების საკითხი

მომხსენებელი ამხ. კასიანი

მომხსენებლის აზრით, საძოვრების საკითხი არის საკითხი მეჯოგე და მიწად-მოქმედ მოსახლეობის შორის საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ და ამავე დროს საკითხი სოფლის მოსახლეობის ამ ორ ჯგუფს შორის არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ. მთლიანად კი ამ საკითხის მოგვარება გულისხმობს სასოფლო მეურნეობის ამ ორი დარგის მიზანშეწონილ განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაისახავს მიზნად იმ ძველი სტრუქტურის მექანიკურ აღდგენას, რომელიც არსებობდა აქამდე სასოფლო-მეურნეობის სფეროში.

ჩვენ მიერ აღსადგენად წარმოებულ მუშაობას უნდა მიეცეს გარდაქმნის ხასიათი ე. ი. მეჯოგეობის აღდგენის დროს ეს მეურნეობა უნდა გარდაიქმნეს ბუნებრივ გეოგრაფიული პირობების, თანამედროვე კულტურულ ტექნიკურ მოთხოვნილებათა და ჩვენი სოციალისტური მიზნების მიხედვით. მომხსენებლის აზრით, ხელისუფლებამ მიზნად უნდა დაისახოს მომთაბარე და ნახევრად-მომთაბარო მეჯოგეობის თანდათანობითი გაუქმება. ამავე დროს ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობას, რომელიც საფუძვლო საძოვრებით სარგებლობს, ალპიური მეურნეობაზე და მიწად-მოქმედებაზე გადასვლას. ამისთვის საჭიროა ა | კ. გეგმათა კომისიამ კუთხეების სასოფლო-სამეურნეო რაიონებათ დაყოფის საფუძველზე გამოიმუშაოს გეგმა მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეჯოგეობის მიწად-მოქმედებისა და ალპიურ მეურნეობაზე გადაყვანისათვის.

დასასრულ მომხსენებელი კითხულობს თეზისებს საძოვრების საკითხის შესახებ.

სხდომა შესწყდა საღამოს 9 საათზე

მეორე დღე

3 სექტემბერი

დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

კამათი ამხ. კასიანის მოხსენების გარშემო

ამხ. ალამალი-ოღლის საძოვრების საკითხი მიაჩნია მეტად რთულ საკითხად, რომლის გადაწყვეტას იგი კონკრეტიულად უდგება. მისი აზრით მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების მტაცებლური გამოყენების ფორმას, რომელიც ძალზე გავრცელებულია მომთაბარეთა შორის.

ყაზახის მაზრაში მთელ მცხოვრებლებს შეადგენს მთლიანათ მომთაბარენი, შამქორის მაზრაში სამი მეოთხედი მომთაბარენია, განჯის და ყარაბაღის მაზრებში მომთაბარეთა რიცხვი ერთ მესამედს უდრის. ამჟამად ყველას საჭიროდ მიაჩნია მომთაბარეობის მოსპობა, მაგრამ ამ საკითხის განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მომთაბარეობის არსებობის მიზეზები, რომელთა შორის პირველია გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული პირობები და წყლის მეურნეობის მოუგვარებლობა იმის გამო, რომ ხშირად მთის მდინარეები და ხელოვნური ჯებირები შრებიან, მცხოვრებლები იძულებული ხდებიან საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალონ.

თუ მაგ. აზერბეიჯანში დღის წესრიგში დავაყენებთ წყლის მეურნეობის მოგვარების საქმეს, სავსებით საფუძველი ეცლება მომთაბარეობას აზერბეიჯანში. ამ გზით უნდა გადაწყდეს ყველგან მომთაბარეობის საკითხი, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული წყლის მეურნეობასთან და საძოვრების საკითხთან. ხოლო მომთაბარეობის მექანიკური მოსპობა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.

ამხ. გაჯიევი სავსებით ეთანხმება ალამალი-ოღლის მოსაზრებებს და მოითხოვს დაუყოვნებლივ წყლის საკითხის მოგვარებას, რისთვისაც ხელისუფლებამ არ უნდა დაიშუროს საშუალებანი, რადგან ამ საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებულია მომთაბარეთა კეთილდღეობა, რომელნიც დიდი ხალისით დასტოვებდენ მომთაბარეობას, თუ კი შეიქმნება კეთილმოწყობის ელემენტარული პირობები.

ამხ. მამედ-ხანოვი აღნიშნავს, რომ მომთაბარეობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზერბეიჯანისათვის, სადაც ამჟამად იწყებს განვითარებას მებამბეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა ინტენსიური კულტურა და თვით მცხოვრებლებს სწადიათ დაბინავდენ ერთ ადგილზე და დასტოვონ ცხოვრების პირველყოფილი წესები.

ამხ. ჩახუნაშვილის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს შორის გზების უქონლობას. გარდა ამისა უნდა გადაწყდეს საკითხი სადავო საძოვრების შესახებ, მაგ. შირაქის ველის საკითხი, რომლის შესახებაც დავა აქვთ აზერბეიჯანს და საქართველოს მცხოვრებთ.

ა. | კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის შეთანხმება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან

(მომხსენებელი ამხ. მამია ორახელაშვილი)

ა | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოთა კავშირში შესვლა ა | კ. ცენტრალური აღმასკომის წინაშე აყენებს საკითხს ა | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ძირითადი კანონმდებლობა შეუთანხმოს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, ჩამოაყალიბოს იგი ისეთ ფორმებში, რომ ადგილი არ დაურჩეს კონსტიტუციის ძირითადი მუხლების გაგების და განმარტების სფეროში ბუნდოვანობას. შემდეგ მომხსენებელი კონსტიტუციას იხილავს ყოველი კარის, თავის და მუხლის მიხედვით და აღნიშნავს იმ ცვლილებას, რომლის შეტანაც აუცილებელი შეიქნა კონსტიტუციის მეორე პროექტის შედგენის დროს. პირველ კონსტიტუციის პროექტში დეკლარაციის უკანასკნელი აბზაცი, სადაც აღნიშნული იყო ა.-კ. ფედერაციის საბჭოთა კავშირში შესვლის სურვილი, რადგან ეს შესვლა უკვე ფაქტია, უნდა შეიცვალოს შემდეგი წინადადებით:

— ა.-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა ერთიანდება რ. ს. ფ. ს. რ., უ. ს. ს. რ. და ბ. ს. ს. რ.-სთან ერთს საკავშირო სახელმწიფოში—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში", შემდეგ მომხსენებელს შეაქვს სარედაქციო ხასიათის ცვლილებები კონსტიტუციის ცალკე თავების ზოგიერთ მუხლებში.

იმ მოსაზრებით, რომ ა.-კ. ბიუჯეტში ხდება ცვლილება ამ ბიუჯეტის საბჭოთა ბიუჯეტთან გაერთიანების გამო, თავი ბიუჯეტის შესახებ კონსტიტუციაში გამოტოვებულია. მომხსენებლის აზრით, ამის უფლება კონსტიტუციის შემდგენელ კომისიას არ ჰქონდა. კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი თავი ბიუჯეტის შესახებ, ხოლო შემდეგ შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები ბიუჯეტის საბოლოოდ ჩამოყალიბების მიხედვით.

კონსტიტუციის საბოლოო განსახილავად სესია ირჩევს 9 კაცისაგან შემდგარ კომისიას.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. მარიამ ორახელაშვილს.

ხელისუფლების ორგანოებში ქალთა განსაზღვრულ მინიმუმის არჩევის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. მარიამ ორახელაშვილი)

საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ ამ თავითვე პრაქტიკულ ამოცანად დაისახეს აუცილებლად გაეტარებიათ ცხოვრებაში დეკლარაციით აღთქმული ქალთა სრული განთავისუფლება. პარტიის უკანასკნელი მე 13 ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რომ ამ მიმართულებათ მუშაობა უფრო გაცხოველებულ იქნეს და რაც შეიძლება ქალთა მეტი რიცხვი ჩაება სახელმწიფო აღმშენებლობაში.

ამ უკანასკნელ ხანებში ქალთა აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ მუშაობაში ემჩნევა დიდი პროგრესი. მაგ. ლენინის გაწვევის დროს პარტიაში მიღებულ იქნა 500 ქალი, რომელნიც უშუალოდ ჩაბმული არიან საამშენებლო საქმეებში. წინსვლა ეტყობა აგრეთვე ა.-კ. რესპუბლიკების ქალებსაც. აზერბეიჯანში, სადაც ქალის უფლებრივი მდგომარეობა უფრო მეტად ჩამორჩენილი იყო, ამჟამად ხელისუფლების ორგანოებში მუშაობს 84 ქალი. ამ რიცხვიდან 24 თურქი ქალი ითვლება ბაქოს საბჭოს წევრად. სომხეთშიც ხელისუფლების ორგანოებში არჩეულ ქალთა რაოდენობა 2 წინა წლებთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა. საქართველოში მდგომარეობა უფრო უკეთესია. მაგრამ რაც ამ მხრივ მიღწეულია, საკმარისად ვერ ჩაითვლება. საჭიროა საკანონმდებლო გზით ქალთა მონაწილეობას ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში მიეცეს უფრო გაფართოვებული და გეგმაშეწონილი ხასიათი. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წინადადების თანახმად საჭიროა სესიამ განიხილოს საკითხი ხელისუფლების ორგანოებში ქალთა განსაზღვრული მინიმუმის არჩევის შესახებ და გამომუშავებული დებულება წარუდგინოს საკავშირო ცაკის მორიგ სესიას.

მომხსენებელი სესიას აცნობს დებულების პროექტს, რომლის თანახმად ყოველ სასოფლო საბჭოში არჩეული უნდა იქნეს არა ნაკლები ერთი ქალისა,—სარაიონო ყრილობის არჩევის დროს ქალთა რიცხვი უნდა შეადგენდეს ყრილობის წევრთა საერთო რაოდენობის არა ნაკლებ ერთი მეხუთედს; სარაიონო აღმასკომში უნდა შევიდეს არა ნაკლებ ერთისა, ხოლო სამაზრო აღმასკომში არა ნაკლებ ორი ქალისა.

საბჭომ დებულების განსახილავად აირჩია კომისია.

სხდომა დასრულდა შუადღის 1 საათზე.

პარტიული ცხოვრება

პარტისის მიმართვა

მოსკოვი. 3 სექ. პარტისი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას რ. კ. პ. ისტორიისათვის ქრონოლოგიური ცხრილების შესადგენად.

პარტისი მიმართავს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს და პარტიულ ამხანაგებს მიაწოდონ პარტიის ქრონოლოგიური ცნობები ადგილობრივი ორგანიზაციების ცხოვრებისა და მოქმედების, აგრეთვე გლეხების და ჯარისკაცთა მასების მოძრაობის და აგრეთვე სხვა პარტიების მოღვაწეობის შესახებ ამა თუ იმ რაიონში და აგრეთვე მთავრობის ორგანოების ბრძოლის შესახებ რევოლიუციონურ მოძრაობასთან რევოლიუციამდი.

ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზ. კომკავშირის დროშა

მოსკოვი, 2 სექტემბერი. რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მოსკოვის კომიტეტმა მიიღო ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდობის კომკავშირისაგან დროშა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომკავშირის თხოვნით აღმართული უნდა იქნეს ლენინის საფლავთან. კომკავშირის კონგრესმა გამოგზავნა აგრეთვე დაფნის გვირგვინი, რომელზედაც შემდეგი წარწერაა: „სლოვაკიის და „პრიკარპატსკაია რუს"-ის კომუნისტური ახალგაზრდობა—საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ხსოვნას. ფიცს ვსდებთ გავავრცელოთ მისი იდეები და ანდერძი".

კომკავშირის უჯრედი სხვავის თემში (რაჭა)

სხვავის თემში ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედი დაარსდა 1923 წ. წევრთა რიცხვი აღნიშნული უჯრედის პირველ ხანებში იყო მცირე—მაგრამ უჯრედის დამაარსებლების აქტიურმა მუშაობამ მიიზიდა ამ მოკლე ხნის განმავლობაში საგრძნობი რიცხვი ახალგაზრდა გლეხკაცობის და ეს პატარა ოჯახი იქცა დიდ ოჯახათ, რომლის წევრებიც დღეს ითვლება 50-მდე. ამათგან ყველანი არიან წერა კითხვის მცოდნე, არსებობს პოლიტიკური წრე—მეცადინეობას ყველა სისტემატიურად ესწრება, აქვთ დიდი მისწრაფება პოლიტიკურად განვითარების, ამხანაგებს ესაჭიროება შესაფერისი სახელმძღვანელოების მიწოდება. აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ ამ ახალგაზრდა გლეხის შვილებმა მედგრად შეუტიეს ცრუმორწმუნოების და სიბნელის კოშკს „ძელი ცხოვის" ეკლესიას და სადაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში გლეხობის სულიერი მამები ჰკვებავდენ ხალხს საიქიო სულის ცხონებაზე, უჯრედმა გახსნა დიდი ბელადის ლენინის სახელობის კლუბი და აწარმოებს კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, რითაც გლეხკაცობა დიდი კმაყოფილი არის. უსურვებთ ახალგაზრდა ლენინელებს მომავალშიც ენერგიულ მუშაობას.

სიმონ მაჭრაძე.

მუშათა ცხოვრება

მუშის ხმა

(მენშევიკურ ავანტიურისტული გამოსვლის გამო).

შრომით და ბრძოლით მოღლილ-მოქანცულს
მრავალ წლების ნანატრ ოცნებას
უკვე ეღირსა მშრომელი ხალხი,
და თვით განაგებს საკუთარ ნებას.

მხოლოდ ამ ნებას ვერ შეურიგდა,
ღვარძლით აღსავსე, ცბიერი მტერი
და ყოველ ძალას მიმართავს იგი,
რომ დაიბრუნოს ძველი იერი.

ქვეყნის ორგულნო, მუქთახორებო!
დათვლილი არის თქვენი დღეები,
დღეს ძლიერდება მაშვრალ ხალხს რწმენა,
მათ ვერ აშინებს თქვენი ხუნდები.

და მთელ მსოფლიოს წითლად დახაზულს,
აელვარებს წითელი ფერი,
რომლის დროშის ქვეშ შვებით დასტკბება
მაშვრალი ხალხი და ყველა ერი!..

სიო ხიდისთაველი.

3 ოქტომბერი
1924 წ.

ომის ინვალიდებს ჩირქს სცხებს

(ინვალიდთა კოოპ. შენაერთის საყურადღებოდ)

არუმ მოსეს ძე შედერმანმა ქალ. კომუნ. № 5 აბანოში დაიქირავა ნომერი საათ ნახევრით. ნაბანოვარი (ცოლით და შვილით) გაუდგა გზასა და ფულის გადახდა არ ინება.

გადაუდგნენ წინ აბანოს გამგის თანაშემწე და მოლარე ქალი. მოსთხოვეს ფული;

„მე ომის ინვალიდი ვარ თქვენი გულისთვის დამიტოვებია ფეხი ბრძოლის ველზე, თქვენ ნომრის ფულს მთხოვთ?"

და წასვლა დააპირა. დაუძახეს იქვე მილიციონერს. სთხოვეს შედერმანს წაყოლილიყო კომისარიატში საქმის გამოსარკვევად.

შედერმანმა უშვერი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა-გინება აბანოს გამგის თანაშემწეს და მოლარე ქალს.

მილიციონერმა დანელიამ შედერმანი თავისი ცოლშვილით (ეტლით) წაიყვანა მე-5 კომისარიატში.

ვაჟბატონ ა. შედერმანს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ფურნე და მანუფაქტურის მაღაზია აქვს არტელის სახით.

ნუ თუ ასე გაუჭირდა ნომრის ფულის გადახდა?

ვთქვათ არ ჰქონდა ფული;

ომის ინვალიდები უფასოდ სარგებლობენ საერთო აბანოში და გ-ნ შედერმანსაც შეეძლო ესარგებლა საერთო წესით.

ასეთი ინვალიდები ჩირქს სცხებენ ომის ინვალიდებს.

ომის ინვალიდთა კოოპ. შენაერთის გამგეობამ, მოსთხოვოს სასტიკი პასუხი ვაჟბატონ შედერმანს.

ომში დასახიჩრებული დამსწრე.

ალაგმეთ ქუჩის ბიჭები.

(მილიციის საყურადღებოდ).

დიდუბეში შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის კარებთან სწორედ იმ დროს, როცა მუშები კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, იყრიან თავს ქუჩის ბიჭები და სტეხენ ისეთ აურზაურს, რომ აქ წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობა ყოვლად შეუძლებელია. სამკითხველოს გამგის შენიშვნას ისინი ყურადღებას არ აქცევენ და სტეხენ საშინელ ყვირილს. მილიციავ, ამათ აუწიე ყური!

ინფ. გ. ოჩიგავა.

ფიზიკური ვარჯიშობა ჩვენც გვინდა.

(ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს საყურადღებოდ).

დიდუბის მცხოვრებლებს ვერა და ვერ ეღირსათ ფიზიკური ვარჯიშობა. ჯერ მიზეზად დასახელებული იყო, რომ ამისათვის სათანადო დარბაზი არ იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანებში აქაურმა ინსტრუქტორმა გურასაშვილმა გამოძებნა დარბაზი. ეხლა კი დაყოვნება იარაღებშია. ამ დარბაზს იარაღები არ აქვს.

საჭიროა უმაღლეს ფიზკულტურის საბჭომ იარაღები მისცეს „დიდუბეს" თორემ მსურველები დაიფანტებიან.

ინფ. გ. ო—ვა.

ახალგაზრდა ჯიბგირების ახალი ხრიკები

(მილიციის საყურადღებოდ)

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის ბევრი ჯიბგირები დაიჭირეს და ციხეში დაამწყვდიეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისინი ისევ გამოუშვეს. ჯიბგირები კი თავისას მაინც არ იშლიან. მილიციას ჰგონია, რომ ისინი მომავალში აღარ იზამენ, მაგრამ ჯიბგირები არ ივიწყებენ თავის ხელობას და აი როგორ აწყობენ ისინი თავის ბოროტ საქმეს: ტიტველი ბიჭი დგას წყალში ყელამდის და ყვირის, ვითომდა იხრჩობა, მისი ამხანაგები კი დგანან ხიდ ქვეშ კიდელზე და ყვირიან: უშველეთ, ბიჭი იხრჩობაო. ამ ხმაზე ხიდზე ხალხი გროვდება. ამ დროს მესამე ჯგუფი ჯიბგირებისა დადის ხიდზე და იქ მდგომ ხალხს ჯიბიდან აცლიან ფულს. შემდეგ ხიდიდან აძლევენ „სიგნალს" კედელზე მდგომ „ბიჭუნებს". ტიტველა ბიჭი კი მიდის წყალ-წყალ და სხვებიც გარბიან. აი ასეთ საზიზღართ საქმეებს სჩადიან თბილისის ჯიბგირები. უნდა მიაქციოს ყურადღება ქალაქის მილიციამ ამნაირ შემთხვევას და მიიღოს სათანადო ზომები.

მუშკორი ი. ჯ.

გამოგზავნილი წერილებიდან.

აგვიკლეს ძაღლებმა.

(ალმასკომის საყურადღებოდ)

დიდი გულადი კაცი უნდა იყოს, რომ გაბედოს და ღამისით გაიაროს სურამის ქუჩაზე, ღამე კი რაც მოხდება აქაური ძაღლების წყალობით, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თვალწინ წარმოგიდგებათ მიყრუებული სოფლის სურათი, სადაც კაცი მარტო იარაღით ხელში გადაარჩენს თავს იმ საშინელ, გაავებულ, თავისუფლად მოხეტიალე ძაღლებისაგან თუ არა და არ შეგრჩება მთელი არც ტანთსაცმელი, არც ხორცი. ამ ძაღლების სითამამეს ხელს უწყობს ქუჩების სიბნელე.

საჭიროა ალმასკომმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს სათანადო ზომები.

მუშა დ—ნა.

რკინისგზელებში

ეს დარგი მხოლოდ ზარალს გვაძლევს.

(რკ. გზის სამმართველოს და გზ. სახკომის რწმუნებულის საყურადღებოდ).

ა. ქ. რკინის სამმართველოს ტყის დამმუშავებელი განყოფილება ამზადებს მთელ ხე-ტყის მასალას რა ზომასაც კი დასჭირდება ა. ქ. რკინისგზებს ამარაგებს. თუ მას დასჭირდა რაიმე მასალა, ხიდის გასაკეთებლად და თუ იგი ადგილობრივ ვერ შეიძინონ მათ, მაშინ აგზავნის თავის აგენტებს სხვადასხვა მხარეს, ყიდულობს და ზედმეტ ფასებში აწვდის რკინის-გზას. ამ მხრივ იგი თამაშობს შუამავლის როლს მყიდველისა და ჩამბარებლისადმი, და თვის დანიშნულებას კი ეს განყოფილება ვერ ასრულებს, რაზედაც აუარებელი დაწერილა პრესის საშუალებით, ბევრი კამპანიებიც იყო ჩატარებული მის წინააღმდეგ, მაგრამ არსებითად მისი მოქმედება ისევ იმ ფარგლებში რჩება. ის ვერ ახერხებს საქმის დონეზე დაყენებას, რაიც იწვევს. ა | ქ. რკინის გზების დეფიციტს. მაგ. თანახმად აქტისა № 1 21 ივლისიდან კომისიამ აგენტ ფირუმოვის მეთაურობით მიიღო წნორის-წყალზე წინედ დამზადებული 11.864 შპალი როგორც რკინის გზების ტეხნიკურ პირობებისთვის გამოუსადეგარი სიდამპლის, უსწორმასწორობის, დახეთქილობის და პატარა ზომიანობის გამო,

რისთვისაა გამოსადეგი ასეთი მასალა? არაფრისათვის. მას [illegible] სადმე, სადაც სრულიად დალპება, და გადაჭრიან. მაშ, რა მიზნით მიიღო რკინის გზამ?—იკითხავს მკითხველი. საქმეც ამაშია, ეს შეკვეთა, რომელიც ტყის დამმუშავებელმა განყოფილებამ აიღო, რომლის ღირებულება მიღებული აქვს. ვერ შეასრულა. რკინის გზას რომ არ მიეღო მასალა, ფული დაეკარგებოდა. და ამიტომ იგი იძულებული იყო უვარგისი მასალა ჩაებარებინა.

ზარალი კი დიდაა, ვინაიდან თითო შპალის ღირებულება საშუალოდ—1 მანეთს და 70 კაპეიკს უდრის.

გარდა ამისა, ამას წინედ რკინის გზამ მისცა შეკვეთა აღნიშნულ განყოფილებას სხვადასხვა ზომის ხეტყის მასალის დამზადებისათვის, რომლის შესაძენად სატყეო განყოფილებამ ცარიცინში მიავლინა თავისი აგენტი.

პირობა ასეთია: როდესაც რაიმე მასალას ყიდულობენ მომწოდებლისაგან, ტეხნიკური პირობის № 5-ის თანახმად, აგენტებმა უნდა ჩაიბარონ სხვადასხვა ზომის მასალა ცალ-ცალკე, მაგრამ აღნიშნული განყოფილების აგენტი იძლევა დეპეშას, რომ იგი ვერ ასრულებს დაწყობილის ჩაბარებას ტეხნიკურ პირობების გამო. ეს მთელი მასალა გადმოიგზავნება დაუწყობელი, რის გამო ადგილობრივ რკინის გზამ ხელ-ახლა უნდა ახარჯოს ფულები მის გადარჩევაში. ეს ზარალი თუ არა? მთელი წლის განმავლობაში ა | ქ. რკინის გზას ესჭირდება 15,000 ათასი კუბ. საჟენი შეშა, რომელსაც სატყეო განყოფილება აწვდის 27—28 მანეთად კუბ. საჟენს, რაზედაც დაინიშნა კომისია გამოსარკვევად, თუ არ უჯდება თვითონ განყოფილებას კუბ. საჟენი შეშისა. გამოირკვა, რომ იგი ყიდულობს 23 მანეთამდე. ასე რომ ოთხი მანეთი მისი მოგებაა. რა აქვს მოგება ამ განყოფილებიდან ა | ქ. რკინის გზებს?—არაფერი, ზარალის მეტი, ეს საქმე ყურადღების ღირსია. იგი ეხლავე უნდა მოგვარდეს, ეს განყოფილება უკეთესი იქნებოდა სრულიად გაუქმებულიყო და შედუღებულიყო რკინის გზების სამასალო სამსახურთან, როგორც ეს წინედ იყო. იმ მცირე შტატის შენახვა, რომელიც სამასალო სამსახურთან შედუღდება, არაფერი დაუჯდება რკინის გზას, რადგან თავისი აგენტების საშუალებით ის თვითონ შეიძენს და ღირსების მასალაც კი დასჭირდება. ეს კია აშორებს რკინის გზას უსაზღვრო დეფიციტებს.

ინფ. კო—ძე.

რკინისგზელთა ქრონიკა

ზაკტპოში

— **უმაღლეს საკოოპერაციო კურსებზე.** „ზაკტპო"-მ უმაღლეს საკოოპერაციო კურსებზე მოსკოვში სტიპენდიით გაგზავნა ამხ. აირაპეტიანი.

— **სავაჭრო დუქნების ყარაულებს.** „ზაკტპო"-ს ადგილკომმა ზედმეტი შრომის ხელფასის გაცემის საკითხი იქვე დღეების განმავლობაში სავაჭრო დუქნების ყარაულებზე გადასცა განსახილველად „ზაკტპო"-ს შემფასებელ-საკონფ. კომისიას.

— **პურის გამყიდველ ქალთა შესახებ.** „ზაკტპო"-ს ადგილკომმა მოითხოვა გამგეობას პურის გამყიდველ ქალებს ჯამაგირი გაუდიდდეს ერთი ხარისხით.

— **ჯამაგირების გადიდება.** „ზაკტპო"-ს შემფ.-საკონფ. კომისიამ დაადგინა გაადიდოს პროცენტულ დანართები დაბალ მოსამსახურეებზე 1-დან—7-დე ხარისხამდე შემდეგნაირად: 1-ლი ხარისხი—50 პროცენტით; მე-2-ე—45 პროც., მე-3-ე—35 პროც., მე-4-ე—25 პროც., მე-5-ე—15 პროც., მე-6—8 პროც., მე-7-ე—5 პროცენტით.

— **კედლის გაზეთი.** „ზაკტპო"-ს ადგილკომი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის სცემს კედლის გაზეთს.

— **„ლენინის კუთხე".** „ზაკტპო"-ს ადგილკომი აწყობს კლუბთან „ლენინის კუთხე"-ს.

— **„კოოპერაციის კუთხე".** „ზაკტპო"-ს ადგილკომი შეუდგა „კოოპერაციის კუთხე"-ს მოწყობას.

— **საზეიმო გახსნა.** დღეს 4 სექტემბერს საღ. 5 საათზე რკ. გზ. პროფესიონალურ განათლების განყოფილება თბ. საუბნო პროფკავშირის შენობაში აწყობს „ლენინის კუთხის"-საზეიმო გახსნას.

— **ლექცია კითხვა-პასუხით.** 29 აგვისტოს რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებამ სად. ნავთლუღში მოაწყო ლექცია—კითხვა-პასუხით, რომელმაც მუშებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

— **საექიმო პუნქტი.** ა | ქ. რკინის გზ. ჯანმრთელობის განყოფილებამ დაადგინა სად. სენაკში გახსნას საექიმო პუნქტი.

ინფ. ა—ძე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა.

მე ვცხოვრობ დიდი მთავრის ქუჩაზე; მიჭირავს ჩემი ცოლშვილიანათ (6 სულია) ორი ოთახი სივრცით 9 კვად. არშინი. ვმსახურობ რკინის გზაზე, თვიურად ვიღებ გასამრჯელოდ—40 მან., ჩემი ბინა მოთავსებულია ერთ სართულიან სახლში, რომელსაც წყალსადენი არა აქვს, ერთი თვეა უსახსრობის გამო ბინის ქირა ველარ გადამიხდია; სახლის პატრონი მემუქრება გამოსახლებით; გთხოვთ განმარტებას, 1) აქვს თუ არა სახლის პატრონს ჩემი გამოსახლების უფლება, 2) თუ რამდენი უნდა გადავუხადო მას ბინის ქირად.

პასუხი

(ამხ. რკინის გზელს)

თანახ. ქალ. საბჭოს დადგენილ. № 42 1923 წ. 8 ნოემბ. §§ 9—10, 1) თქვენ ვალდებული ხართ, თუ კი თავის დროზე იღებთ შრომის ხელფასს, ყოველ თვის ბოლოს გადაიხადოთ ბინის ქირა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლის პატრონს თანახმად ამავე დადგენილების § 13-ის, აქვს უფლება სასამართლოს წესით მოითხოვს თქვენი გამოსახლება;

2) **ბინის ქირას თქვენ იხდით 50 პროცენტით ნაკლებს,** ვინემ სხვა პირნი—თქვენივე ჯამაგირით, მაგრამ ვისაც ბინაში აქვთ მოწყობილი წყალსადენი **(ნახეთ ამავე დადგენ. § 8)** მთელი ბინის ქირას თქვენ **იხდით 81 კაპ. რაოდენობით.**

პროვინციაში

ს. შილდა (კახეთი)

შილდა 1200 კომლს ითვლის. იგი დაწინაურებული სოფელთაგანია. მოიპოვება მრავალი მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორც საშუალო, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში. ინტელიგენტური ძალაც საგრძნობია, აქაური 4 კლასიანი შრომის სკოლა 17 მასწავლებელს და 500 შეგირდს ითვლის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლაში თითქოს განგებ, თავი მოუყრიათ დახელოვნებულ და დიდხნის გამოცდილ მასწავლებლებს, განსაკუთრებით მამა-კაცებს, რომელთაც სკოლა თავის სიმაღლეზედ დაუყენებიათ. ქალი მასწავლებლები კი მოისუსტებენ.

შილდაში არსებობს ორი კოოპერატივი: მომხმარებელი და მევენახეთა. ახლო მომავალში არსდება საკრედიტოც.

ადგილობრივ პოლიტ-განათლებას, რომელსაც ისევ სკოლის მასწავლებლები უდგანან სათავეში, გამოყოფილი ჰყავს დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურად, მთელი წლის განმავლობაში, სდგამს წარმოდგენებს, აწყობს საღამოებს და სხვა.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო წესიერად ღებულობს ჟურნალ-გაზეთებს. შვიდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი მოსდის ამ სამკითხველოს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში პოლიტ-განათლებამ ცოტა მაჯის ცემას უკლო სამკითხველოს საქმეში; მაგრამ, იმედია, მისი ხელმძღვანელნი, როგორც ალმასკომის თავმჯდომარე, აგრეთვე სკოლის გამგე, ჩქარა ჩააყენებენ ძველ კალაპოტში სამკითხველოს საქმეს.

თუმც შილდაში ორი განსაკუთრებული შენობაა 14 ოთახით, სკოლისთვის დანიშნული, მაგრამ მოსწავლეთა მოთხოვნილებას მაინც მთლად ვერ აკმაყოფილებს; ამისთვის სასოფლო ყრილობამ დაადგინა: აეშენებინა სახალხო სახლი, სადაც რვა ოთახს დაუთმობდა სასწავლებელს. ამოირჩია განსაკუთრებული კომისია ამი კაცისაგან და მიანდო მისი აშენება.

საამშენებლო კომისიამ უპირველესათ ყოვლისა მიზნათ დაისახა აეშენებინა ეს უზარმაზარი შენობა რაც შეიძლება მცირე თანხით, რომ ისედაც გაჭირვებული ხალხი უარესათ არ შეეწუხებინა. ერთი სიტყვით,—რაც შეიძლებოდა ყველაფერი გაკეთებულიყო სოფლსავე ხელით. ამ მიზნით საამშ. კომისიამ დასდგა 90 საჟენი ქვა, 70 საჟენი ქვიშა, დაამტვრია, ჩადგა და დაწვა შვიდი საკირე, დაამზადა ტყეში და ჩამოიტანა 200—300 კოჭი, თავი მოუყარა გაფანტულ ყავარ-კრამიტს და ფიცარს, რომელიც სოფლის სიმდიდრეს შეადგენდა და უპატრონობით დაბნეული იყო; აამუშავა შილდელი მეაგურენი, რომელთაც 90,000—100.000 აგურის ალიზი დაამზადეს, და შემდეგ კომისიამ გამოწვა. არც დურგალ-კალატოზები ჩამორჩნენ საერთო ფერხულს თავიანთ წვლილის შესატანად: კარ-ფანჯრები, რაც კი ამ შენობას მოუნდა (70 ცალი), დურგლებმა უსასყიდლოდ დაამზადეს. 15-მა კალატოზმა თითომ 10 დღე უსასყიდლოთ იმუშავა.

ეს საშვილიშვილო საქმე ხარჯის გაუღებლათ, თავისით საკუთარის ხელით გააკეთა შილდამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ 1—2 ვედრო ღვინოს, რომელიც მცხოვრებლებმა გაიღეს და რომელ გადასახადისგან ქვრივ-ობრები და ღარიბები მთლად განთავისუფლებულნი დარჩნენ. ეს ღვინოც მათ მოიხმარეს იმისთანა საქმისათვის, რომელსაც სოფელი თვითონ ველარ გააკეთებდა, მაგ. ზედმეტი საკალატოზო, სადურგლო, ტყის მასალა და სხვა.

გეგმა შენობისა და ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა ყოფილმა სამხედრო ინჟინერმა ჯორჯაძემ, რომელიც ხელმძღვანელობს ამ საქმეს, ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა დამტკიცებულია თელავის მაზრის ალმასკომისაგან.

შენობა დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან 1 აგვისტოდან შეუდგნენ მის დახურვას. სატყეო მასალა სულ მზად არის. დასანანი და სავალალო სოფელს გაჭირვებია ის, რასაც თვითონ საკუთარი ხელით ვერ გააკეთებს და მათი შეძენა კი საგრძნობ თანხას მოითხოვს (მაგალითად: კარ-ფანჯარის „პეტლები", ლურსმანი, კარების სახელური, ფეჩის კარები, შუშები და სამღებრო). არც ამაზედ დაღონდებოდა შილდის მშრომელი, რომ მისი ქირნახული ზოგი სეტყვას და ზოგიც გვალვას არ შთაენთქა.

დიდ დახმარებას გაუწევდა, ვისაც ეს საქმე შეეხება, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს შილდელ გლეხთა დაწყებულ საქმეს და მიაწოდოს ზემოთ ჩამოთვლილი საგნები.

მეზობელი.

შეფობა სოფლებზე (დუშეთის მაზრა)

ჩვენი სოფლის გლეხობასთან დაახლოვების მიზნით, სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა დაავალა ყველა სამაზრო ორგანოებს, რათა უკანასკნელებს აეღოთ შეფობა ამა თუ იმ სოფელზედ.

ეს დავალება ყველამ აღფრთოვანებით მიიღეს და სამაზრო ორგანოებმა უკვე დაიწყეს შეფობა ჩვენ სოფლებზედ. ჩვენმა შეფებმა უკვე დაიწყეს მუშაობა; ჯერ-ჯერობით აწყობენ სამკითხველოებს, უგზავნიან გაზეთებს. შეფებს უმთავრეს მიზნად აქვსთ დასახული წერა-კითხვის უცოდინარეობის მოსპობა და გლეხობასთან დაახლოვება.

ზოგიერთ შეფებმა უკვე მოაწყვს სამკითხველოები, საექიმო პუნქტები მიაწოდეს სანიავებელი მანქანები და სხვა. მაგრამ გლეხობასთან დაახლოვებისათვის ეს არაა საკმარისი. ჩვენს გლეხობას რომ დაუახლოვდეთ და გავეცნოთ მისი ტკივილები, ამისათვის საჭიროა არა მარტო ხელსაწყოების მიწოდება და სამკითხველოების გახსნა, არამედ საჭიროა ამასთანავე ერთად ცოცხალი ძალების მიწოდება და ხშირად დათვალიერება შეფების მიერ თავიანთი სოფლებისა.

ამ გზით ჩვენ შევძლებთ ჩვენს გლეხობასთან დაახლოვებას.

იმედია, ჩვენი შეფები ხშირად ჩამოუვლიან სოფლებს.

არაგვისპირელი.

სოფ. ტყვიავი (გორის მაზრა)

სოფ. ტყვიავი მდებარეობს პ. ლიახვის ხეობაში. მცხოვრებნი უმეტესად მისდევენ მეხილეობას. ამ დარგს მეურნეობის პირველად სოფ. ტყვიავში ჩაეყარა საფუძველი და აქედან გავრცელდა ქართლის სხვა სოფლებშიც.

მთლად ეს რაიონი წარმოადგენს ერთ დიდ ბაღს.

ტყვიავში მოქმედობს მეხილეთა ამხანაგობა და მთლ. კოოპერატივი, სადაც ცოტაოდენის გამოკლებით თითქმის ყველა (350 ოჯახი) შედის წევრად. ამხანაგობის საშუალებით ასაღებს ხილს და კოოპერატივის საშუალებით იკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნილებას.

აქ კოოპერატივი მოქმედობს 1914 წლიდან და მეხილეთა ამხანაგობა 1919 წლიდან, მაგრამ ხალხთან დაკავშირება და ჩაბმა მის საქმიანობაში ეტყობა მხოლოდ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში.

კოოპერატივმა გასული წლის (1923 წ.) განმავლობაში მრავალი საგულისხმიერო ოპერაცია და კამპანია ჩაატარა (მაგ. ხილის დამზადება-გასაღება, ფართლის მიწოდება და სხ.), რითაც ხალხის ნდობა დაიმსახურა.

მიმდინარე წელსაც ის ეწევა ხილის დამზადებას, თავის გარშემო შეაკავშირა 600 მეხილე.

სოფ. ტყვიავი თავიდანვე რაიონის ცენტრი იყო და მხოლოდ ამ უკანასკნელ თვეებში მოიხსნა იქ რაიალმასკომი, რომელიც შეიცვალა საბჭოთი.

ადგილობრივ მომუშავეთაგან აღძრული იქნა შუამდგომლობა ისევე რაიონის გადაკეთებისათვის. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია, მაგრამ ჯერჯერობით ცხოვრებაში არ ტარდება. მისი გეოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობა კი უსათუოდ მოითხოვს იქ რაიონის დაარსებას. ტყვიავში არსებობს აგრეთვე სათემო გლეხკომი, რომელმაც თავისი მცირე ხნის მოქმედების დროს უნარიანობა გამოიჩინა. ჩაატარა უმტკივნეულოთ თვით-დაბეგვრა, გასცა სესხად ღარიბ გლეხობაზე ხორბალი, მოაწყო სასადილო, რომელმაც ჯილი მოუჭრა კერძო ვაჭრებს, მაგრამ რომელსაც მრავალი გამოსასწორებელი დეფექტები აქვს, დაარსა საექიმო პუნქტი, სადაც უღარიბესი გლეხობა სესხის სახით და ზოგჯერ შემთხვევაში ფასგადაუხდელად ღებულობს წამლებს, ეწევა კოოპერატივთან ერთად კულტურულ-განმანათლებელ საქმეს.

ამ სამი ორგანიზაციის მუშაობა დაგეგმილია და საერთო ძალებითაც აკეთებენ საქმეს.

კოოპერატივმა და გლეხკომმა თავიანთი ხარჯით მოაწყვეს კლუბი პროლეტარულ კლუბების გეგმაზე, დაარსეს სამკითხველო, სადაც რეგულიარულად მოდის ჟურნალ-გაზეთები.

კლუბთან არსებობს სხვადასხვა საშეცადინო წრეები (პოლიტიკური, კოოპერატიული, ფიზკულტურის და სხვ.).

კლუბის, სამკითხველოს და წრეების მუშაობაში დიდ აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახკომკავშირის წევრები.

სოფ. ტყვიავში არსებობს სკოლა, რომლის გაფართოებას 4 წლიან სკოლად სცდილობს საბჭო, მით უმეტეს რომ საჭირო შენობები მოიპოვება.

დიდ საჭიროებას წარმოადგენს როგორც სოფლისთვის, ისე რაიონისთვის სამეურნეო სკოლა. საჭიროა მაზრამ ამას სათანადო ყურადღება მიაქციოს; ადგილობრივი, ორგანიზაციები იმავე შეერთებული ენერგიით, როგორც სხვა სახალხო საქმეში, დიდ დახმარებას გაუწევენ ამ საქმეში.

არა ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს როგორც სოფლისთვის, ისე მის რაიონისთვის ფოსტა-ტელეგრაფი, რომელიც დაშორებულია სოფლიდგან ერთი (ცხინვალის ფ.-ტ. კანტორა) 9 ვერსით და გორის 20 ვერსით. სახალხო კავშირი იმედია ამას დიდ ყურადღებას მიაქცევს.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ სოფ. ტყვიავს ეტყობა როგორც კულტურული გამოფხიზლება, ისევე ეკონომიური მოღონიერება. ამას ხელს უწყობს როგორც კომპარტიის ადგილობრივი, ისევე რაიონული და მაზრის მომუშავენი, აგრეთვე ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელსაც არ ეტყობა გათიშვა ხალხიდგან, როგორც სხვა ბევრ ალაგებში, და რომელიც სოფელში მარტო საზაფხულოდ არ მოდის; ყველა ესენი ერთი აზრით, ერთი გზით შეპყრობილნი მიილტვიან სოფლის აღორძინებისკენ, ახალი სოფლის აშენებისკენ.

მზერავი.

ქრონიკა

— **მუშათა სახლების დათვალიერება.** შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ამ დღეებში დაათვალიერებს ჭიათურის მუშათა სახლებს, მათი საცხოვრებლათ ვარგისიანობის გამოსარკვევათ.

— **სანიტარიის შესწავლა.** ჯან. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა შეისწავლოს მთელი რესპუბლიკა სანიტარულ-ეპიდემიურ და მედიკო-ტოპოგრაფიულის მხრივ.

— **სტამბების დათვალიერება.** შრომის დაცვის სანიტარული ინსპექცია ამ ჟამად აწარმოებს სტამბებში ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის მომხდენ ჰაერის შესწავლას.

— **ახალი საბინაო ამხანაგობები.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ დაამტკიცა 5 ახალი საცხოვრებელ-საბინაო ამხანაგობათა წესდება.

— **სანიტარულ განათლების გამოფენა.** ქ. ჯანმრთელობის განყოფილება ამ დღეებში თათრის მოედანზე გამართავს სანიტარულ-განათლების გამოფენას.

— **გაზიანი წყლის დამზადების აკრძალვა.** ქ. ჯან. განყოფილებამ აკრძალა სექტემბრიდან გაზიანი წყლების დამზადება იმ ქარხნებში, რომლებიც არ იქნებიან მომარაგებული ქალაქის ლაბორატორიით.

— **წყლის გასაწმენდი მიწა.** წყალსადენის სამმართველომ მოსკოვიდან მიიღო 8,000 ფ. წყლის გასაწმენდი მიწა, ამ მხრივ წყალსადენი უზრუნველყოფილია 1925 წლისათვის.

— **ტრამვაი.** ტრამვაის მთავარ ინჟინერის თანამდებობის დროებითი ასრულება დაევალა ინჟ. ტერ-ხაჩატუროვს.

— **კურსები ექიმებისათვის.** ტროპიკულ ინსტიტუტთან მოეწყო კურსები ექიმების მოსამზადებლათ მალერიასთან საბრძოლველათ.

— **ზემო-ავჭალის დათვალიერება.** შრომის დაცვის განყოფილების ტეხნიკურ ინსპექციის წინადადება მიეცა საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და საქ. პროფსაბჭოსთან ერთად დაათვალიეროს ზემო-ავჭალის სადგურზე წარმოებული მუშაობა და გამოარკვიოს უბედურ შემთხვევების მიზეზები.

— **სანიტარული რუქები.** შრომის დაცვის განყოფილების სანიტარული ინსპექცია შეუდგა თამბაქოს მრეწველობაში სანიტარული ხასიათის რუქების შევსებას.

— **თბილისის საინსპექციო პუნქტები.** შრომის კომისარიატმა დაავალა შრომის დაცვის განყოფილებას, საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად შეისწავლოს საკითხი თბ. შრომის სამ საინსპექციო რაიონებად დაყოფის შესახებ, ნაცვლად ოთხ რაიონისა.

— **მიწის რეფორმა.** სამაზრო ალმასკომმა დაადგინა: მიწის რეფორმის სასწრაფო წესით განხორციელების დროს დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად მიიღოს სათანადო ზომები და მოახდინოს იმ პირთა აღრიცხვა, რომელნიც თვით არ ამუშავებენ მიწას.

— **ლუდის ქარხანა.** ახალციხის ალმასკომმა მეურნეობის განყოფილებას მიანდო გახსნას და მოაწყოს ახალციხეში ლუდის ქარხანა.

— **ახალციხის გამშვენიერება.** ქ. ახალციხეში ე. წ. „ებრაელთა თხრილის" გასაწმენდად ალმასკომმა გადასდო 300 მ.

— **მიმოფრენა მანგლისთან.** უკვე მეთხე დღე გავიდა, რაც თბილის-მანგლისს შორის შეწყვეტილ იქნა მიმოფრენა, რომელიც უკვე განახლდა 3 სექტემბრიდან.

— **„კოცონთან".** გამოვიდა განათლების სახ. კომ. სოც. აღზრდის მთავარმმართველობის სალიტ-სამხატ. სექცია და ახალგ. კომკავშირის ცენტრ. კომიტეტის რედაქციით საბავშვო წიგნაკი „კოცონთან" (საუბარი მეხუთე როგორ ვცხოვრობდით ბანაკში).

— **„პატარა იაპონელები".** გამოვიდა საბავშვო წიგნი ლიუსი ფიჩპეიკინის „პატარა იაპონელები" თარგ. ც. დარახველიძის. სახ. გამომცემლობის გამოცემა.

— **მავნე წარმოებებში მომუშავენი.** შრომის კომისარიატის დადგენილებით მავნე წარმოებებში სპეცსაზრდო ეძლევა იმ მუშებსაც, რომელნიც არ ასრულებენ მავნე სამუშაოს, მაგრამ ამ მუშაობიდან არ არიან განცალკევებულნი.

— **მასწავლებელთა ყრილობაზე.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა გლეხკომებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი მასწავლებელთა ყრილობაზე, მომავალი სამოსწავლო გეგმის გასაცნობათ.

— **მოჯამაგირეების შრომის დაცვა.** შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის დაცვის განყოფილებას მიწა-ტყის კავშირთან ერთად ამ მოკლე ხანში დაასრულოს მოჯამაგირეების შრომის დაცვის საკითხის გამორკვევა.

— **სწავლის დაწყება საბავშვო ბაღებში.** ქ. განათლების განყოფილების დადგენილებით ქალაქის ყველა საბავშვო ბაღებში სწავლა დაიწყება 5 სექტემბრიდან.

— **საკონსერვო ქარხანა.** ქ. ალმასკომის საკონსერვო ქარხანა ამ ჟამად შეკვეთით ამზადებს 500 ქ. კონსერვს.

შემთხვევები

— **პატიმარის მოკვლა.** 1 სექტემბრის 5 საათზე, დარაჯმა გაფრთხილების შემდეგ მოკლა პატიმარი ტონიევი, რომელიც ციხიდან ქუჩაში ელაპარაკებოდა ვიღაც უცნობს.

— **ქმრის მოკვლა.** 1 სექტემბრის ღამის 1 საათზე გლეხების ჩიხი. მოქ. დარია ბროკინამ ძილში ყელი გამოსჭრა თავის ქმარს. მკვლელობის შემდეგ გამოცხადდა მილიციაში. მიზეზი ოჯახური უკმაყოფილება.

— **ნაქურდალი ნივთები.** 30 აგვისტოს გორის ქ. იპოვეს ქუჩაში ნაქურდალი ნივთები, რომლების წაღება ქურდებმა ალბათ ველარ მოახერხეს.

— **ქურდობა.** ა-ქ. რკინის [illegible] კასის თანამშრომელს ტეხანოვს მისივე განცხადებით მოპარეს 1,900 მან. სახაზინო ფული.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი [illegible] ბინება, რომ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე 7 სექტემბრიდან გადატანილია 14 სექტემბერს.

მორიგ საკავშირო დღეს, ხუთშაბათს 4 სექტემბერს, უჯრედებმა [illegible] ადგილობრივი საკითხები.

საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი
მდივანი: მ[illegible]

განცხადებები

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო
15 სექტემბერს, დღის 12 საათზე, სამმართველოს შენობაში (თბილისი, სოლოლაკის ქ., № 6), აცხადებს
შეჯიბრებას
ტყის ნარდათ გაჩეხაზე ფოთის რაიონში სადგურ ქვალონსა და ჭალადიდს შუა მდ. რიონამდე, ერთი წლის ვადით. ცნობების და პირობების მიღება შეიძლება ა.-ქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში, 10 საათიდან 12 საათამდე.
ის პირნი, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, წინდაწინვე შემოიტანენ 200 მანეთს საწინდარს, თავიანთ პირობებს გაჩეხვის შესახებ და პირადობის დამამტკიცებელ საბუთებს.
ნ. 1469. 3—1. ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველო.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ
დანიშნულია შეჯიბრება
მთავარი ქვე-სადგურის (ქალაქის ელსადგურის № 1 გვერდით) ასაგებ სამუშაოთა გაცემაზე ქალ. თბილისში.
ეს სადგური შესდგება ერთი დიდი აგურის ორ-სართულიანი შენობისაგან, მოცულობით დაახლოვებით 1950 კუბ. მეტრისა, რომელსაც მიშენებული ექნება აგურის ერთ სართულიანი შენობა, მოცულობით დაახლოვებით 731 კუბ. მეტრი და აგურის პატარა შენობისაგან, მოცულობით 108 კუბ. მეტრი.
ყველა შენობები რკინა-ბეტონის გადახურვით და ძგიდეებით.
ყველა სამუშაო სწარმოებს მონარდეს მასალებით და მისივე იარაღებით.
ზაჰესკომიდან მონარდეს მიეცემა დიდუბეში მხოლოდ ცემენტი და კერეზიტი.
ვადა სამუშაოს დასამთავრებლად 6 თვე.
დანიშნულ ვადაზე სამუშაოს დაუმთავრებლობისათვის ზაჰესკომი უყენებს მონარდეს ჯარიმას. ვადაზე გადაცილებულ თითეულს დღისათვის დაუმთავრებელ სამუშაოს ღირებულობის 1 პროც. ხელშეკრულების ფასის მიხედვით.
ის პირნი, რომელთაც სურთ მთლად აიღონ ხსენებული სამუშაო, შემოიტანენ წერილობითი განცხადებას ღერბის მარკების დაკვრით, დადგენილ დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე, ჩადებულს დაბეჭდილ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს მთავარი ქვე-სადგურის შეჯიბრებაზე 5 სექტემბერს 1924 წ.", რომელ რიცხვშიც 12 საათზე მოხდება კონვერტების გახსნა.
განცხადებას უნდა ჰქონდეს დართული ქვითარი ზაჰესკომის სალაროში განცხადებული თანხის 5 პროც. საწინდრის სახით შეტანის შესახებ.
საწინდარი უძრავ ქონების სახით არ მიიღება.
წინდაწინ საწინდრის შეტანისაგან [illegible] ორგანოები და აღნუსხული მუშათა ამხანაგობანი (არტელები).
იმ პირთა და ორგანიზაციებს, რომელთაც სამუშაო არ მიეცემა, ჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე საწინდარი სასწრაფოთ უკან დაუბრუნდებათ. ხოლო საწინდარი იმ პირისა და ორგანიზაციისა, რომელიც სამუშაო მიიღო, რჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება 10 პროც.-მდე პირველად მისაღებ თანხიდან დაჭერით, და დაუბრუნდება მას მთლიანად მხოლოდ მაშინ; როცა სავსებით და რიგიანათ შეასრულებს სამუშაოს. სახელმწიფო ორგანოების და მუშათა არტელების საწინდარი მათ მიერ განცხადებული ფასის 10 პროც.-ის რაოდენობისა შესდგება მათი ხვედრი ფულისაგან 15 პროც.-ის დაჭერით.
დაწვრილებითი პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტეხნიკური პირობების განხილვა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში (ოთახი № 4) ყოველ დღე 10 საათიდან დღის 12 საათამდე, (ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ყოფ. ველიამინოვის ქ. № 3) იქვე იძლევიან განცხადებებისათვის დაწესებულ ნიმუშის ბლანკებს.
სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.
3—3 ნ. № 1450

თბილისის ალმასკ. კეთილ-მოეწყობის განყოფილება
ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 4 აგვისტოს, დღის 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა (ოთახი № 43) თავისუფლების მოედანი და თათრის მოედნის შუა ქუჩის გაგანიერების მიზნით შენობების დაშლაზე.
ცნობების და პირობების გაგება შეიძლება ალმასკომის შენობაში, ოთახ № 50, დილის 11 საათ. 1 საათამდე.
3—3 ნ. 1.466. ალმასკომის კეთილ-მოეწყობის განყოფილება.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელ
პით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 25—

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ლეხაინდრავონოლის თემის მიერ ლავრენტი ფილიპეს ძე ქაჯაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა რაჭის მაზრის ფარახეთის ალმასკომიდან გაცემული სამონ გერასიმესძე მაჩაიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე საბინაო დავთარი. ჩაითვალოს გაუქმებულად. პელაგია გრიგორის ასული ბედიაშვილისა. 1—1

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 20 მოცემული სამთო-მადნო მუშათა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ კარპე სპირიდონისძე მოდებაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი № 2115 ილია ვასილისძე ბიბილაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე აჭარისტანის ხელოვნების მუშაკთა კავშირის მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 474 და ბათომის ცენტრალურ მუშათა კლუბის გამგეობის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა № 64 ალექსანდრე დიმიტრის ძე ალაზნისპირელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე პირადობის მოწ № 63, რეგისტრაც ფურცელი № 13, ატესტატი ცეკვა-თამაშ მასწავლებლის მოცემული ქუთაისის პ ლიტ-ბიუროდან № 3 ისიდორე კაკაური სახელზე. ჩაით. გაუქმებულად. 1—

დავკარგე პირადობის მოწმობა, შვინის წიგნაკი, მეტრიკა, სეზონის ბილეთი მიხეილ ზა რიასძე ცხვედაძის სახელზე. ჩაითვალოს უქმებულად. 1—1

დავკარგე აღრიცხვის ფურცელ მიხეილ ზაქარიასძე ქა ჯაიას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმ ბულად. 1—1

დავკარგე პირადობის მოწმ № 37.419 მოცემულ რკ. გზის ორთქლმ. საყუდ. უფრ. სეზონ ბილეთი თბილისიდან ხარაგოულამდე ხ. ტ. პ. წიგნაკი. იასონ მაჭავარიანის სახელზ ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე მეტრიკის ამონაწერ № 3.985 ცოტნე ლეჟავა სახელზე. ჩაით. გაუქმებულად. 1—1

დავკარგე პირადობის მოწმ № 33. 36, საჭირო ბილეთი № 4.204 ვანო ჟუჟუნაშვილის ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ტირაჟი—15,500

სტამბა „ზარია ვოსტოკა", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.